სარეკორდო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 აგვისტო 2008 №184 (3408) ფასი 50 თეთრი

სატანა მაინც ვერ დაამარცხებს საქართველოს!

მსოფლიო ეპიდემიები

შავი ჭირი შუა საუკუნეებში და რუსეთი დღეს

მშვიდობიან დღეს გისურვებ საქართველო

ომი არ გვინდა, მედლები გვინდა

ᲫᲐᲮᲐ ᲒᲔᲠᲘᲫᲔ
ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲓᲐᲜ
ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ
„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ოლიმპიურ საერთაშორისო და ხელშეუხებელ ქარტიაში სიტყვა სიტყვით წერია, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას ყველა დაპირისპირებული მხარე ვალდებულია ზავი ჩამოაგდოს, უნდა შეწყდეს ომები, ყოველგვარი აგრესია ქვეყნებს შორის და აბსოლიტურმა სიმშვიდემ უნდა დაისადგუროს. რუსეთი, რომ ოლიმპიზმის პრინციპებს და იდეალებს არაფრად აგდებს უკვე დადასტურებული ფაქტია. მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო ზეიმობს XXIX ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნას, მაშინ როდესაც საზეიმო ცერემონიალზე მილიარდობით მაყურებელს მსოფლიოს ყველა წერტილში ოფიციალური მიმართვით კიდევ ერთხელ მოუწოდებენ მშვიდობისკენ, საქართველოს რუსეთის თვითმფრინავები „არხეინად“ ბომბავენ.

ძნელია იმის აღწერა, რაც პეკინში საქართველოს დელეგაციაში ხდება. სპორტსმენები, მწვრთნელები, დელეგაციის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, სამედიცინო პერსონალი, ადმინისტრაციის წევრები დაზაფრული და განადგურებულები ვართ, თუმცა ჩვენი განცდა რა მოსატანია ფოთის, ქუთაისის, სენაკის, ცხინვალის და განსაკუთრებით გორის მოსახლეობასთან, რომლებმაც უშუალოდ საკუთარ თავზე იწვნიეს ეს საშინელი აგრესია.

9 აგვისტო, ოლიმპიადის პირველი საშეჯიბრო დღე უმძიმესი გამოდგა ქართული დელეგაციისთვის. დილიდან მოდიოდა ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების დაბომბვის შესახებ. თამაშების მთავარ პრეს-ცენტრში ოლიმპიადისადმი ინტერესი საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა გადაწონა. პრეს-ცენტრში განთავსებული თითქმის ყველა ტელევიზორში ჩვენი ქალაქების დაბომბვის კადრებს აჩვენებდნენ. ასობით ჟურნალისტი გაოგნებული უყურებდა ტელეეკრანს და სოლიდარობას გვიცხადებდნენ. ინტერესი იმდენად დიდია, რომ პეკინში აკრედიტებული ქართველ ჟურნალისტებს უცხოელი კოლეგები ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვაჩერებდნენ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თუ კომენტარისთვის „SORRY, MAY I SPEAK WITH YOU“ — და ორი დღეა ასე გრძელდება, დაუსრულებლად. პირადად ჩემგან საფრანგეთის, ჰოლანდიის, ისრაელის, ინგლისის, ამერიკის გაზეთების, ასევე რამდენიმე ქვეყნის რადიოს წარმომადგენლებმა ითხოვეს ინტერვიუ. მოკლედ დღეს პეკინში ორი მთავარი თემაა — საქართველო და თამაშები.

შაბათს ჩვენი ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელებს სურვილი ჰქონდათ მთავარ პრეს-ცენტრში სპეციალური ბრიფინგი გაემართათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, თამაშების პერიოდში ოლიმპიურ სოფელში სპორტულ არენებზე და პრეს-ცენტრში პოლიტიკურ თემასთან დაკავშირებული პრესკონფერენციები იკრძალება. იყო სურვილი ქართველ ჟურნალისტებს ჩინეთში რუსეთის საელჩოსთან აქცია გაგვემართათ. თუმცა ეს ვარიანტიც გამორიცხა, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქში გამოყო რამდენიმე პარკი, სადაც თამაშების მსვლელობისას შეიძლება საპროტესტო აქციების მოწყობა.

გუშინდელი დღე შეიძლებოდა უპრეცენდენტო გამხდარიყო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში და მისი შემქმნელი საქართველო იქნებოდა. შაბათს საღამოს უსერიოზულესად განიხილებოდა, პროტესტის ნიშნად თამაშების მიტოვება, თუმც ბუნებრივია ეს ნაბიჯი ოლიმპიადის წინააღმდეგ გადადგმული არ იქნებოდა. საქართველოს საელჩოში რამდენიმე საათიანი თათბირის შემდეგ ღამის 1 საათზე ოლიმპიურ სოფელში პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა ჩვენს სპორტსმენებს განუცხადა თამაშებში აღარ მონაწილეობის შესახებ, დაახლოებით საათნახევარში კი ხელმეორე კონსულტაციების შემდეგ გადაწყვეტილება შეიცვალა. ბუნებრივია ინფორმაციას ფლობდნენ სოკ-შიც, რომლის წარმომადგენლებსაც ხშირი კონტაქტი ჰქონდათ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებთან, გუშინ დილით კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი სოეკ-ის ხელმძღვანელებს გოგი თოფაძეს, ემზარ ზენაიშვილს და ლერი ხაბელოვს შეხვდა და მხარდაჭერა გამოხატა ჩვენი გუნდის მიმართ.

„ოლიმპიური თამაშების მიტოვება ძალზედ სერიოზული ნაბიჯის გადადგმაა, ამას შეიძლებოდა ქართული სპორტის რამდენიმე წლით იზოლირება მოჰყოლოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო მასშტაბის უდიდეს სკანდალზე. კარგია, რომ საბოლოოდ ყველაფერი ცივი გონებით გაანალიზდა და გადაწყვეტილებაც ისე იქნა მიღებული. დღეს ჩვენს ქვეყანას წარმატება ყველა სფეროში არნახულად სჭირდება, მითუფრო ოლიმპიურ თამაშებზე“ — მითხრა გოგი თოფაძემ.

პირველი მედალი ჩვენს გუნდს ტყვიის სპროლაში ნინო სალუქვაძემ მოუტანა. რაც ამ დაძაბულობის ჟამს ორმაგი სტიმული უნდა გახდეს ქართველი სპორტსმენებისთვის. ნინო საკვალიფიკაციო ეტაპზე მეოთხე იყო, ფინალში კი ყველა მეტოქეზე უკეთ ისროლა და 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სხვათა შორის ნინო სალუქვაძე გამორჩეული სპორტსმენია იმ მხრივაც, რომ 20 წლიანი „პაუზის“ შემდეგ მოახერხა ოლიმპიური მედლის აღება. „ამ წარმატებას ჩემს სამშობლოს და ხალხს ვუძღვნი“ — მოკლე კომენტარით შემოიფარგლა ნინო.

სამწუხაროდ არ გვიმართლებს ძიუდოისტთა შეჯიბრში, თუმცა იმ ფონზე და განწყობით, რაც ყველა ჩვენს სპორტსმენშია დასადგურებული ძნელია მაქსიმალური კონცენტრაცია მოახდინო. ნესტორ ხერგიანი თავის თავს არ ჰგავდა და უკეთეს ვითარებაში არც ზაზა კედელაშვილი იყო. ნესტორი საწყის შეხვედრაშივე ფრანგ დრაგინთან მარცხის შემდეგ მისივე წყალობით რეპეშაჟში გადაერთო, თუმცა ვერც იქ გააწყო რაიმე სახეირო ებრაელ მოწინააღმდეგესთან.

სხვათა შორის უცხოელი პრესის მუშაკები ძალზედ დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ძიუდოისტების მიმართ და არც სიმპათიების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხატვას ერიდებიან. უდიდესი ინტერესით ელოდნენ ზაზას და რუსი გადანავის დაპირისპირებას, თუმცა უნგრელმა უნგვარმა დაძაბულ შეხვედრაში მოახერხა ჩვენებურის დამარცხება და შემდეგ თვითონ დამარცხდა რუს ძიუდოიტთან, რითიც ზაზა კედელაშვილს რეპეშაჟში გადასვლის უფლება მოესპო.

„დღეს ღმერთი ჩემს მხარე იყო. სახე და ცხვირი სულ დამიზიანდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ძლიერ მეტოქეს მაინც ვაჯობე“ — განაცხადა უნგვარმა „MIXED“ ზონაში პრესასთან საუბრისას, თუმც უფრო დიდი ინტერესით ელოდნენ ზაზას გამოჩენას: „რა უნდა გითხრათ? სრულიად განადგურებული ვარ. როდესაც შენს ქვეყანას ბომბავენ ძნელია ფსიქოლოგიურად განეწყო. იმედია ჩემს ქვეყანაში მალე სიმშვიდე დაისადგურებს“ — ასეთი იყო მისი კომენტარი.

არ გაგვიმართლა კრივშიც, საიდაც კახაბერ ჟვანიას პირველივე წრეში მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი დემეტრიუს ანდრადე შეხვდა და დაამარცხა. „ანდრადემ ჩიკაგოში მსოფლიო ჩემპიონატზე მომიგო და მერე რევანშზე ვფიქრობდი, ვიცოდი, რომ ოლიმპიადაზე ჩემი მთავარი კონკურენტი იგი იქნებოდა, თუმცა პირველივე შეხვედრაში მასთან ბრძოლის სურვილი არ მქონდა. ცუდია, რომ ფორტუნამ მიღალატა. როდესაც ბრძოლის შემდეგ გავესაუბრე.

თავი ვერც გეორ-გიამ და საქართველომ გამოიჩინეს პლაჟის ფრენბურთში. გოგონების მარცხს ბრაზილიელებთან თუ მეტ-ნაკლებად შეგუებულნი ვიყავით, ვაჟების კი გვეიმედებოდა, მაგრამ ავსტრალიელებთან დასანანად დათმეს მატჩი და ჯგუფიდან გასვლის შანსებიც გაიუარესეს.

ფინალის მიღმა დარჩნენ ილია გიორგაძე ტანვარჯიშში (25-ე ადგილი? და მოცურავეები ირაკლი რევიშვილი (200 მ თავისუფალი სტილი) და ანა სალნიკოვა (100 მ ბრასი), თუმცა სიმართლე ითქვას ამ უკანასკნელებისგან ვარსკვლავების მოწყვეტას არც ველოდით.

დღეს ჩვენთვის შედარებით მსუბუქი დღეა სპორტულ ასპარეზობათა თვალსაზრისით. გვეიმედება ნიკოლოზ იზორიას (კრივი), და რაც მთავარია ძიუდოში დავით ქევხიშვილის წარმატებული გამოსვლის იმედია ჩვენი სპორტსმენები შეეცდებიან დაძლიონ სტრესი, გაორმაგებული ენერგიით იბრძოლებენ.

ბოლოს კი ავღნიშნავ, რომ გუშინ პეკინში ტიენ მენის მოედანზე ჩინელმა მოქალაქემ ამერიკელი ტურისტი, მოკლა რომელიც აშშ-ს გუნდის ფრენბურთელთა ნაკრების მწვრთნელის ნათესავი იყო, და შემდეგ თავის მოკვლა სცადა...

მშვიდობიან დღეს გისურვებ საქართველო!

SOS

გუშინ, საღამოს ოლიმპიურ სოფელში ქართველმა სპორტსმენებმა მშვიდობიანი აქცია მოაწყვეს, რომელსაც მსოფლიოს არაერთი წამყვანი ტელევიზია აშუქებდა. მათ შორის BBC, CNN, Reuters და სხვა. ქართველმა სპორტსმეენბმა სანთლებით ხელში გამოსახეს სიტყვა SOS, რითაც ხაზი გაუსვეს რუსეთის აგრესიის შეწყვეტას ჩვენს ქვეყანაში.

ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲣᲘᲚᲔᲗᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲘᲛᲔᲔᲓᲝᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ ძიუდოისტებისთვის ოლიმპიადის პირველი დღეები კარგი ნამდვილად ვერ გამოვიდა. მედლისთვის ბრძოლას ვინ ჩივის, ერთი გამარჯვების მოპოვებაც სანატრელი გაგვიხდა არადა, როგორი საქმეა, ქართული ოლიმპიური გუნდიდან ხომ გულშემატკივარი მედალს დიდწილად სწორედ მოჭიდაველებისა და ძიუდოისტების გან ელოდება...

ალალად ვთქვათ, კენჭისყრის შემდეგ ნესტორ ხერგიანის (60 კგ) გაჩემპიონება გვარიანად საძნელი ჩანდა. ჩვენებურს ბადეში ურთულესი მეტოქეები შეხვდნენ, თუმც გამოცდილება და მედლები არც ხერგიანს აკლია და, ბუნებრივია, მისგან ქომაგი გაცილებით მეტს ითხოვდა. ხერგიანი პირველ წრეში ფრანგ დიმიტრი დრაგინს შეხვდა. დრაგინი კოკათი დაწინაურდა, მაგრამ მერე ნესტორმა მეტოქე გააფრფხილებინა და ილეთიც გაკეთა, თუმც მსაჯებმა ეს გდება არ შეაფასეს. სამაგიეროდ, შეხვედრის დამთავრებამდე 30 წამით ადრე ფრანგს მისცეს იუკო და ხერგიანს ბრძოლის გადასარჩენად დრო აღარ დაუტოვეს.

სხვათა შორის, ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი და ხერგიანიც მსაჯების მიმართ უკმაყოფილოებას შეხვედრის მერეც გამოთქვამდნენ და წაგების მიზეზად არაობიექტური მსაჯობა დაასახელეს. დრაგინი მერე ნახევარფინალში გავიდა და ხერგიანს ბრინჯაოს მოპოვების შანსი მისცა, მაგრამ ნესტორმა დამამშვიდებლის პირველ დაპირისპირებაში ებრაელ გალ იეკუტიელთან წააგო. დრაგინთან შეხვედრის დარად, ქართველმა აქაც პირველი ქულა მეტოქეს დაუთმო, კოკას აგებდა. ამის მერე ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ იეკუტიელმა თავის დაცვა მოახერხა და ხერგიანი ოლიმპიადას გამოთიშა.

ევროპის სამგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66 კგ), უმედლოდ დაგვირჩა. სამი წელია, ზაზა ევროპაში პირველობას არავის უთმობს და არც სხვა საერთაშორისო ტურნირებშია ჯაბანი, მაგრამ მისთვის ოლიმპიადა უიღბლო გამოდგა. კედელაშვილმა პირველი წრე გამოტოვა და მერე უნგრელ მიკლოშ უნგვარს შეხვდა, ვინც წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალში დაამარცხა. 2 წუთის შემდეგ კოკასაც იგებდა, თუმც მერე დაღლა დაეტყო პასიურობდა და შეხვედრის დამთავრებამდე 40 წამით ადრე, ლეიბიდან გასვლის გამო გაფთხილება მიიღო. დამატებით დროში კი თავის წამოწყებულ ილეთზე წამოეგო და დამარცხდა.

უნგრელმა ძიუდოისტმა ქართველს ოქროსთან ერთად ბრინჯაოს აღების შანსიც „მოუსპო“, რაკიღა მეოთხედფინალში რუს გადანოვთან დამარცხდა და რეპეშაჟში ჩაბმის საშუალება არ მისცა.

დღეს ოლიმპიურ ტატამზე დავით ქევხიშვილი (73 კგ) იჭიდავებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველ გულშემატკივარს ხასიათს გამოუკეთებს.

ნესტორ ხერგიანმა დიმიტრი დრაგინს ვერაფერი დააკლო

ზაზა კედელაშვილის (მარჯვნივ) სადებიუტო ოლიმპიადა სადებიუტოვე ბრძოლით დამთავრდა

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲜᲯᲘ ᲛᲝᲡᲘᲜᲯᲐ

ᲕᲔᲜ-ᲖᲘᲣᲜ ᲒᲣᲝ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ოლიმპიადაზე საქართველოს პირველი მედალი ჩვენი ოლიმპიური გუნდის ყველაზე გამოცდილმა სპორტსმენმა, ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მოუტანა. თავისთვის მე-6 ოლიმპიადაზე სალუქვაძემ ბრინჯაოს მედალი აიღო და ოლიმპიური მედლების სრული კომპლექტით შექმნა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც 1988 წლის სეულის ოლიმპიურ ოქროს და ვერცხლს ახლა ბრინჯაოც დაემატა...

სალუქვაძემ სპორტული დამბაჩით 10 მეტრიდან სროლაში მე-3 ადგილი დაიკავა, არადა, ფინალში გასვლამდე დაგროვილი ქულები სახარბიელო ვერ იყო. კვალიფიკაციის მერე სამეულს რუსი პადერინა ლიდერობდა (391 ქულა), მეორეზე მომავალი ჩემპიონი ჩინელი ვენ-ზიუნ გოუ იყო, ხოლო მესამე ადგილი მონღოლ მუნკზულ ცოგბარდაჰს ეკავა. თუმცა უკვე დასკვნით ეტაპზე ნინო სალუქვაძემ კარგად ისროლა და მე-4 ადგილზე შეყოფ ბელარუს ჩაიკას მთელი 5 ქულით გადასწრო.

საბოლოო ტექნიკური შედეგები კი ასეთია: ვენ-ზიუნ გუო 492,3 (ჩინეთი), ნატალია პადერინა 489,1 (რუსეთი), ნინო სალუქვაძე 487,4 (საქართველო).

აქვე ვთქვათ, რომ ჩინელმა მსროლელმა ოქროს მედალთან ერთად ოლიმპიურ რეკორდსაც მოარტყა.

ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲞᲐᲫᲔ

საქართველო ჩინურ ქვიშაზე ჯერ ვერ გაიხარა

ᲞᲚᲐᲥᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲪ-ᲥᲐᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ

ᲞᲚᲐᲥᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ საქართველოს სახელით მოთამაშე ბრაზილიელებმა — კრისტინა სანტანამ და ანდრეზა ჩაგაშმა, რომელთა აქური სახელებია საქა-რთველო, ოლიპიადის პირველივე მატჩში ლამის სენსაცია მოახდინეს. ტიტულებით დახუნძლულ ბრაზილიელებს პაულასა და ლარისას შეხვდნენ და ცოტაც რომ გამართლებოდათ, ეგებ გაემარჯვათ კიდეც.

საქა-რთველომ პირველი სეტი დაბალ, ტაიბრეკიან ბრძოლაში 25:23 მოიგო და ამით მეტოქე გაახელა. მომდევნო სეტი პაულა-ლარისამ 21:17 მოიგეს, ხოლო გადამწყვეტში ჩვენებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. ბოლო, მოკლე სეტი ლარისამ და პაულამ ათი ქულის სხვაობით, 15:5 მოიგეს და ამას სულ რაღაც 9 წუთი მოანდომეს.

წაგებით დაიწყეს ოლიმპიადა ქართულპასპორტიანმა კაცმა ბრაზილიელებმაც — რენატო გომეშმა (გეორ) და ჟორჟე ტეიშეირომ (გია). გეორგიას ავსტრალიური წყვილი შახტისლაკი შეხვდა და მძიმე, 46-წუთიან ბრძოლაში 17:21, 19:21 დამარცხდა.

უნდა ითქვას, რომ გეორ-გია ორივე სეტს იგებდა, თუმცა ჩაწოდებებისას დაშვებულმა შეცდომებმა მათი საბოლოო წაგება განაპირობა. ამასთან, ავსტრალიელებმა 5 ეისი მიითვალეს, რაც რენატომ და ჟორჟემ ერთხელაც ვერ მოახერხეს.

გეორ-გია ჯგუფის მომდევნო შეხვედრას ბრაზილიელ რიკარდოსა და ემანუელთან ჩაატარებენ, რომლებმაც პირველ ტურში ანგოლელებს მორაიშსა და ფერნანდეშს გადაურბინეს — 21:8, 21:13.

ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲞᲐᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ



ᲘᲚᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ ოლიმპიური გამოსვლა საკვალიფიკაციო ეტაპზევე დაასრულა. გიორგაძე სპორტული ტანვარჯიშის ექვსი დისციპლინიდან მხოლოდ ორში გამოდიოდა: ტაიჭსა და თავისუფალ ვარჯიშში.

ამ უკანასკნელ დისციპლინაში გიორგაძემ 14,625 ქულა მიიღო, ხოლო ტაიჭის თავისუფალ ვარჯიშზე 15,150 ქულა დაიმსახურა, თუმცა ეს შედეგი კვალიფიკაციიდან გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐᲛ ᲝᲗᲮᲘᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲐᲠᲗᲧᲐ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ დაიწყო საოლიმპიადო გამოსვლა ქართველმა მშვილდოსანმა ხათუნა ნარიმანიძემ, რომელმაც შეჯიბრის პირველ დღეს 64 მსროლელს შორის მე-4 ადგილი დაიკავა.

ეს გახლდათ ერთგვარი კვალიფიკაცია, რისი შედეგების მიხედთვით მშვილდოსნები ოცდამეთორმეტედფინალში დაწყვილდნენ. პრინციპი ასეთი იყო — საუკეთესო შედეგის მქონე სპორტსმენი ბოლო, 64-ე ადგილზე გასულს დაუწყვილდებოდა, მეორე — 63-ს და ასე შემდეგ.

ნარიმანიძემ პირველ ცდაზე 330, ხოლო მეორეზე — 333 ქულა მოაგროვა და ჯამური 663 ქულით, როგორც ვთქვით, მეოთხე ადგილი დაიკავა. ოცდამეტორმეტედფინალში მისი მეტოქე იქნება 61-ე ადგილზე გასული ბრიტანელი დორი დემას (567 ქულა), რომელმაც ქართველ მშვილდოსანს სვარაუდოდ პრობლემები ვერ უნდა შეუქმნას.ბარემ ვთქვათ, რომ ნარიმანიძის წინ, ანუ 1-3 ადგილებზე სულ ერთი ქვეყნის, სამხრეთ კორეის წარმომადგენლები არიან.

ამავე ეტაპზე გამოდიოდა მეორე ქართველი მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა, რომელმაც 643 ქულით მე-17 შედეგი უჩვენა და 48-ე ადგილზე გასულ იაპონელი უკი ჰაშიაის (616 ქულა) შეხვდება.

ოცდამეთორმეტედფინალი 12 აგვისტოს გაიმართება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ᲥᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲠ ᲔᲧᲝ

კახა ქვანიამ დემეტრიო ანდრადესთან ბოლოსღა წააგო

ᲣᲘᲚᲑᲚᲝ დებიუტი ჰქონდა, ქართველ მოკრივეს კახა ქვანიას, რომელმაც 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიადის მთავარ სენსაციამდე სულ ცოტა დააკლდა. ქართველი მოკრივე კენჭისყრამ პირველსავე წრეში მსოფლიოს ჩემპიონს, ამერიკელ დემეტრიუს ანდრადეს გადაყარა. ეს უკანასკნელი პეკინშიც ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა და ცხადია ქართველთანაც ყველა იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ გვარიანი ნერვიულობა კი დასჭირდა. პირველი რაუნდი ქვანიამ 0:2 წააგო. მეორე ფრედ, 2:2 დასრულდა. მესამეში ისევ ამერიკელმა იმარჯვა — 6:4. ბოლო რაუნდში კი ქართველმა 3:1 მოიგო, მაგრამ ოთხდარტყმიანი ჩამორჩენის გასაბათილებლდა ეს უპირატესობა არ ეყო და საბოლოოდ 9:11 დამარცხდა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲐᲖᲔ ᲮᲐᲠ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ: ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲓᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ 97:67 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

22:15 29:15 21:16 25:21

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ნიკნიკაძე (2), გულისაბედაშვილი (5), ფაცაცია (4), შენგელია (10), შერმადინი (31); პირველაშვილი (2), ჯგერენაია, მათიაშვილი (11), ნოზაძე (2)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ახალგაზრდული ნაკრები მომავალ წელს B დივიზიონში ითამაშებს. გუშინ დავით უსტიაშვილის დამოძღვრილმა გუნდმა ბერძენ 20-წლამდელებთან 97:67 წააგო და ევროპის ჩემპიონატის 16 გუნდს შორის ბოლო ადგილი დაიკავა, რამაც, ცხადია, ჩვენები ქვედა დივიზიონში დააქვეითა.

საქართველოს ამ მატჩამდე ელიტაში დარჩენის თეორიული შანსი კი შერჩნოდა, მაგრამ სამწუხაროდ, თეორია თეორიად დარჩა. ქართველებს რა ანგარიშითაც არ უნდა დაეჯაბნათ ბერძნები, თუკი ჯგუფის მეორე მატჩში სლოვენია ბულგარეთს არ დაამარცხებდა, ვერაფერი გვშველოდა და ეს საბოლოოდ ასეც მოხდა. ბულგარეთმა დიდი გაჭირვებით სძლია სლოვენიას და ქართველებისთვის საბერძნეთთან მატჩის შედეგს აზრი დაეკარგა.

ევროპის ჩემპიონატის ბოლო მატჩი უსტიაშვილის გუნდმა ყველაზე სუსტად ჩაატარა. ბერძნებმა თავიდანვე ჩამოიტოვეს ჩვენები და პირველი მეოთხედი 22:15 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 21 ქულამდე გაზარდეს — 51:30. უსტიაშვილის გუნდის ბედიც აქ გაირკვა და დარჩენილ დროში ელადელებმა იმდენი ქნეს, რომ ქართველები 30 ქულით დაამარცხეს.

ჩვენიანთაგან ყველაზე შედეგიანი გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც 31 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა 34 წუთში.

ფელპსის რვიდან პირველი

მაიკლ ფელპსი

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ და ერთი ამერიკელი ნამდვილად ასრულებს წინასწარ დადებულ პირობას. 23 წლის მოცურავე მაიკლ ფელპსმა აღთქმა დადო, ოლიმპიადაზე 8 ოქროს მოვიპოვებო და პეკინში თავისი გამოსვლა ტრიუმფალური გამარჯვებითაც გახსნა. ფელპსმა მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური გაცურვა, თანაც თავისივე მსოფლიო რეკორდიც გაუუმჯობესა და ტრიბუნაზე მორჭმით მჯდარ ჯორჯ ბუშს ტაში მოსწყვიტა.

ბუში პეკინში ორ რამეს აკეთებს, ოლიმპიადას უცქერის და მშვიდობიანი ოლიმპიადიდან ტელეფონით ცდილობს საქართველოზე ჩექმით და ტანკით წამოსული მოძალადე რუსის შეჩერებას. ღმერთმა ქნას, შეაჩეროს და გააბრუნოს. კვირას კი ის პეკინის აკვა-ცენტრში გახლდათ მეუღლით, შვილითა და მამითურთ (ჯორ ბუშ უფროსი) და რიგითი ამერიკელი ტურისტივით დროშის ფრიალით მიაცილებდა ფელპსს გამარჯვება-რეკორდისკენ. ამანაც ფინიშის მერე თავი წყლიდან რომ ამოყო და სათვალე აიხსნა, ბუშს ცერა თითი აღუმართა, რამაც პრეზიდენტი ღრმად ნასიამოვნები დატოვა.

ეს იყო მედლების პირველი კომპლექტი, რომელიც ჩინელთა საამაყო აკვა-ცენტრში გათამაშდა. ფელპსს მეტოქეებიც მძლავრი ჰყავდა. თანამემამულე და მეგობარი რაიან ლოჩტე, რომელთან გაცხარებულ შეჯიბრშიც ორიოდ კვირის წინ ამერიკის ჩემპიონატშიც გაუუმჯობესა მსოფ-რეკორდი და აგრეთვე უნგრელი ლასლო ჩეხი, რომელიც მსოფლიოში უძლიერეს უნივერსალად ითვლება ფელპს-ლოჩტეს დუეტის მერე.

შეჯიბრი ფიცხელი იყო პირველიდან ბოლო წრემდე. თავიდან ჩეხი დაწინაურდა და პირველი კედელი მან ყველაზე სწრაფად უკუაგდო, მერე კი ლოჩტემ ოდნავ წაიწია წინ პირველი, ბატერფლაის სტილით გასაცური 100 მეტრის ბოლოს. ფელპსი დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგღა გალიდერდა და მესამე სტილზე, ბრასის დროს საბოლოო უპირატესობა მოიპოვა. მეოთხე და უკანასკნელ, თავისუფალი სტილით გასაცურ 100 მეტრზე კი ლამის მთელი სხეულით გაასწრო თავისივე მსოფლიო რეკორდის ვირტუალურ ტელე-ხაზს. „ფელპიდომ“ ბოლო მეტრები ისე აწყვეტილმა გაიდგაფუნა, რომ ფინიშის შესახვედრად გაწვართულმა ხელმაც ვერ შეაჩერა და ლამის კედელს სდრუზა თავი. ისეთი გახარებული და ადრენალინით აღვსებული ვიყავი, რომც მიმერტყა, ვერაფერს ვიგრძნობდიო, გულუბრყვილოდ ხარობდა რეკორდსმენი, მაგრამ ემოციები რომ გაუნელდა, ისიც თქვა, ეს ჩემი უკანასკნელი 400 კომპლექსი იყო. მეყო აქ გამარჯვებები და რეკორდები, ოლიმპიადის მერე სხვა სახეობებს ავითვისებო.

ფელპსმა 400 კომპლექსური მეტრი (ას-ასი მეტრი ოთხივე სტილით) 4 წუთსა და 03,84 წამში დაფარა, რითაც ძველ რეკორდს 1,41 წამი მოაკბიჩა. 4.06,16 შედეგით ლასლო ჩეხი იყო მეორე, ფელპსს 4 წამზე მეტით ჩამორჩენილ რაიან ლოჩტეს კი პეკინის პირველი საცურაო კომპლექტიდან ბრინჯაოს მედალი შეხვდა.

ამგვარად, ფელპსმა წარმატებით დაძლია 8-ოქროიანი სარეკორდო იერიშის პირველი ბასტიონი. მისგან განსხვავებით, სრულად ჩაფლავდა შტატებში „ძუ ფელპსად“ წოდებული კეტი ჰოფი, ვინც 400 კომპლექსურზე მსოფლიო რეკორდს ფლობდა და პეკინში მის ოქროთი დამშვენებასაც გეგმავდა, თუმც ერთიც დაკარგა და მეორეც. ავსტრალიელმა სტეფანი რაისმა წაართვა ორივე.

ჰოფს ურიგოდ არ უცურია, თავისივე რეკორდთან მიახლოებული შედეგი აჩვენა, როცა ფინიშს 4 წუთსა და 31,71 წამში უწია. ეს მხოლოდ 0,59 წამით ნაკლებია რეკორდზე, მაგრამ იმ გაცურვაში ჰოფის გარდა კიდევ ორი გოგონა ცუდ-უბრალოდ როდი აჭყაპუნებდა. სტეფანი რაისმა 4.29,45 შედეგით ჰოფის ძველ მიღწევას ლამის ორი წამი, ანუ კარგა სამი მეტრი ჩამოაჭრა და საჩემპიონო ოქროს მედალი ოქროთიც მოავარაყა. ამერიკელს გაასწრო ზიმბაბველმა კრისტი ქოვენთრიმაც (4.29,89), ვინც ვერცხლი მოუტანა ოლიმპიური მედლებით არცთუ განებივრებულ თავის ქვეყანას, ამერიკელ ექსრეკორდსმენს კი ოდენ გაცრეცილი ბრინჯაო შეარჩინა.

უდაბალესი გამოვიდა ოლიმპიადის პირველი საცურაო ესტაფეტა. 4X100 მეტრზე გუნდურ შეჯიბრში ჰოლანდიელთა კვარტეტმა რაღაც სასწაულით ამერიკელი და ავსტრალიელი გოგონები ერთმანეთში ვერცხლ-ბრინჯაოსთვის შეაჯახა, ოქროს კი თავად დაეპატრონა (3.33,76). ვერცხლის მომგებ ამერიკელებში გამოირჩა ქალი, ორი წლის შვილის დედა, 41 წლის დარა ტორესი, ვინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. დედილო დარამ ფინალის რვა გუნდის 32 მონაწილეს შორის მეორე შედეგი აჩვენა, მაგრამ მისი ძალისხმევა მხოლოდ ვერცხლისთვის ეყოთ ჰოლანდიელებს გვარიანად ჩამორჩენილ ამერიკელებს. ისე კი მეხუთე ოლიმპიადაზე გასულმა ტორესმა შვილისტოლა გოგონებთან შეჯიბრში მე-10 მედალი მოპოვა და ამითაც ფრიად გაიხარა.

დღის მეოთხე ოქრო (ცურვაში ყოველდღე მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდება) კორელმა ტაეჰვან პარკმა ირგუნა, რომელიც 400 თავისუფალ მეტრზე ისედაც მსოფლიოს ჩემპიონი გახლდათ. ყველასდა გასაკვირად, ვერცხლი ერგო ჩინელ ლონ ჟანგს, ამერიკელ ლარსენ ჯენსენს კი ბრინჯაო შეხვდა. მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიჭირა ავსტრალიელმა ვარსკვლავმა გრანტ ჰეკეტმა, თუმც ის თავს იმით დაიმშვიდებს, რომ ეს დისტანცია მის „საკუთრებად“ არ ითვლება. ოზი ზვიგენი 1500 მეტრზე გრძნობს თავს აუზის მტაცებლად და ამ დისტანციაზე ჩემპიონობას ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გეგმავს.

ორიოდ სიტყვა ჩვენებურებზე: ირაკლი რევიშვილმა და ანა სალნიკოვამ 10 აგვისტოს დაიწყეს და დაამთავრეს თავიანთი ოლიმპიადა. რევიშვილი 1.53,70 შედეგით 200 თავისუფალ მეტრზე 67 მონაწილეს შორის 61-ე იყო. ანა სალნიკოვამ (1.21,70) კი 100 მეტრ ბრასში 49 მონაწილიდან მხოლოდ მალელ შავ-შავ მოცურავეს მარიამ პოლინ კეიტას გაასწრო.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ირაკლი რევიშვილი 200 მეტრ თავისუფალში 67 კაცში 61-ე იყო


ანა სალნიკოვამ 100 მეტრ ბრასის კვალიფიკაციაში 49 მონაწილეში მხოლოდ მალის წარმომადგენელ მარიამ პოლინ კეიტას გაასწრო

მანუ ჯინობილი ლიტველებში ვერ გაძვრა

რემატჩი და რემარცხი

ჯინობილის 19 ქულა გაუხუნდა

10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ დაიწყო გუნდური სახეობათა მშვენება კალათბურთი, სადაც მსოფლიოს 12 რჩეული გუნდი ორ ჯგუფშია გადანაწილებული და ზე-ოთხეულში მოხვედრით ეცდება მეოთხედფინალში გზის გაკაფვას.

A ჯგუფში უდაბალესი ბრძოლა გაიმართა არგენტინასა და ლიტვას შორის. არგენტინა მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია, ლიტვას კი სამჯერ დაუკავებია მესამე ადგილი. თამაში ლამის ქულა-ქულაში წავიდა. ათენის ტრიუმფატორებს შემადგენლობაში უბრწყინავთ ნბა-ში ნაწრთობი ხუთი მოთამაშე (ჯინობილი, ნოჩიონი, დელფინო, სკოლა და ობერტო) და ხუთივემ რიგიანად ითამაშა. განსაკუთრებით ჯინობილიმ ბომბა ლიტველთა კალათი და 19 ქულით შეხვედრის პირველი მექულე გახდა.

მაგრამ უქმად არც ბალტიისპირელები იდგნენ და მიუხედავად იმისა, რომ ჯინობილის დარი არავინ ჰყავთ, მესამე მეოთხედიდან ერთთავად ლიდერობდნენ. „დენვერს“ სათადარიგო ლინას კლეიზა ლიტველებს ლიდერად მოევლინა და სამი საჭირო სამქულიანი ჩაგდო. უკანასკნელ მეოთხედში მისი გუნდი 12 ქულითაც გაიჭრა, მაგრამ არგენტინელებმა ბოლო წუთზე 75:75 გაათანაბრეს. გადამწყვეტი აღმოჩნდა სწორედ კლეიზას (13 ქულა) უხერხული ნასროლის შემდეგ ჩაგდებული სამქულიანი. ლიტვამ 79:75 გამარჯვება მოიპოვა სადებიუტო შეხვედრაში.

დამარცხებულთა ლიდერმა ალალად შეაქო გამარჯვებულები. „ასეთ გუნდთან წაგება გულს არ დაგწყვეტს. ლატვიელებმა რამდენიმე დაუჯერებელი ბურთი ჩააგდეს და სავსებით იმსახურებდნენ გამარჯვებას“ — ამბობდა ჯინობილი.

ჯგუფის ორი სხვა შეხვედრა ნაკლებდაძაბული გამოვიდა. ოლიმპიადის დაწყებამდე ამერიკელებთან სახელოვნად ნაომარ ავსტრალიელებმა ხორვატებს ბრძოლა კი გაუმართეს, თუმც ბოლოს 82:96 იძლივნენ. ევროპის ჩემპიონმა რუსეთმა კი ოლიმპიადების დებიუტანტ ირანს 71:49 მოუგო.

B ჯგუფში ცენტრალურად ჩაითვალა აშშ-ს და ჩინეთის შეხვედრა და ამ მატჩს კარგი რეკლამაც გაუკეთდა, მაგრამ ცენტრალურობისა არაფერი ეცხო — ნბა-ს 12-მა სუპერვარსკვლავმა 101:70 შემუსრა ნბა-სავე ერთ ნამდვილ და ერთ ნახევარვარსკვლავს (იაო მინი და იი ძიანლიანი) დამატებული 10 ჩინელი. ჩინელთა სათაყვანებელმა იაო მინმა 13 ქულა, 10 მოხსნა და 3 დაფარება გააკეთა, ძიანლიანი კი 9 ქულით და 3 მოხსნით შემოიფარგლა. ამერიკელთა შორის გამოირჩინენ დუეინ ვეიდი (19), ლებრონ ჯეიმსი (18), კობი ბრაიანტი (13) და დუაიტ ჰოვარდი (13).

2006 წლის მუნდიალის ფინალის რემატჩში მაშინდელმა გამარჯვებულმა ესპანეთმა ახლაც იოლად შემუსრა საბერძნეთი — 81:66, არადა აქ კი იყო ბრძოლა მოსალოდნელი. გამარჯვებულებს ულიდერეს რუდი ფერნანდესმა (16), ხოსე კალდერონმა (13) და პაუ გასოლმა (11). დამარცხებულებში კი გამოირჩინენ ვასილეოს სპანულისი (15), დიმიტრიოს დიმიტრიადისი (14) და ნიკოლას ზისისი (10).

ჯგუფის მესამე მატჩში დირკ ნოვიცკის გერმანიამ 95:66 გაანადგურა აფრიკის მარადიული ჩემპიონი ანგოლა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ოქროს ჩეხმა მოპარტყა

პეკინის XIX ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი ჩეხი კატერინა ემონსია. 24 წლის ჩუბი ნმა ქალმა პნევმატური შაშხანიდან 10 მეტრზე სროლაში ოლიმპიური რეკორდით — 403,5 ქულა — იმარჯვა და ოქროს მედალი რომ მიიღო, ასე განაცხადა, დილიდან ცუდ ხასიათზე ვიყავი, ერთი სული მქონდა, შეჯიბრი მალე რომ დასრულებულიყო და ამიტომაც, შაშხანიდან, როგორც ავტომატიდან ისე ვისროდიო.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ემონსმა მაქსიმალური შედეგი, 40 სროლაში 400 ქულა გააკეთა, ანუ ყველა ტყვია ათიანში ჩასვა და ფინალურ გასროლებში კი, სადაც მაქსიმალური შედეგი თითოეულ გასროლაზე 11 ქულაა, 103,5 ქულას მოუყარა თავი.

კატერინას დაწყებული საქმე მეორე დღეს ჩეხმა მსროლელმა კაცებმაც გააგრძელეს. კერძოდ, ლაპარაკია დავიდ კოსტელეცკიზე, რომელმაც სასანგრე, სტენდზე სროლაში, რომელსაც სხვანაირად ტრეპსაც უწოდებენ, 150 შესაძლებლიდან 146 ქულა გააკეთა და თავის ქვეყანას მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

შაბათს და კვირას ორი ოქრო ჩინელმა მსროლელებმაც ირგუნეს, თანაც ორივე პნევმატური პისტოლეტით 10 მეტრზე სროლაში — შაბათს კაცებში 688,2 ქულით ყველას ვეი პენგმა აჯობა, კვირას კი ქალებში ოლიმპიური რეკორდით — 492,3 — ვიენ იუნ გუო იყო საუკეთესო.

პრაპავადე ჯაროენრატანატარაკონი

ამ ცხელ გულზე თუ ვინმეს ოლიმპიური ძალოსნობა აინტერესებს, თანაც ქალთა შესრულებით და გაცინების უნარიც შერჩა, შეუძლია გაიცინოს — სათაურში მოყვანილი აბრაკადაბრა გინება არ გახლავთ, იმ ტაილანდელი ქალბატონის სახელ-გვარია, რომელმაც გუშინ 53 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.

დავთვალეთ და გვარში 21 ასონიშანი გამოვიდა. და აი, ამ 21-ასონიშნიანი გვარის მქონე დიაცმა გუშინ ორჭიდის ჯამში 221 კილოგრამი დააგროვა, უახლოესი მდევარი, სამხრეთ კორეელი ჯინ ჰი იუნი (რა ადვილად გამოითქმის!) მთელი 8 კილოგრამით ჩამოიტოვა და თავის ქვეყანას ოლიმპიური ოქრო ჩაახუტა.

სხვა მხრივ, ამ პრაპავადე ჯაროენრატანატარაკონს თუ თავს დავანებებთ, ოლიმპიურ ფიცარნაგზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერჯერობით მასპინძლები ბატონობენ და სამიდან ორი ოქრო სწორედ მათია.

სანჩეს ჩინიანი

ველოესპანეთს დიდი კაცები არ ელევა

ჩვენ აქ ოქროს მოსაგებად ვართ ჩამოსულები და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, ჩემპიონი რომელიმე ჩვენგანი რომ გახდესო, განაცხადეს ესპანელმა ველომრბოლებმა პეკინში ჩასვლისთანავე და შაბათს, 245-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლისას გამოჩნდა, რომ ისინი სიტყვებს ჰაერში არ ისვრიან.

შარშანდელი და წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულები ალბერტო კონტადორი და კარლოს სასტრე, ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ოსკარ ფრეირე, ყოველთვის ფავორიტი, მიმდინარე პრო-ტურის სერიის ლიდერი ალეხანდრო ვალვერდე — აი, ასეთი ხალხი ჩაიყვანეს ესპანელებმა ოლიმპიადაზე და ამ მართლაც რომ ვარსკვლავური გუნდიდან საჭირო მომენტში თითქოს ყველაზე უჩინომ, ახლახან დასრულებულ „ტურზე“ საერთო მეშვიდე ადგილზე გასულმა სამუელ სანჩესმა გაისროლა.

ყველა პროგნოზი ისეთი იყო, რომ ესპანელები ვალვერდეზე გააკეთებდნენ აქცენტს და „კაის დე პარნის“ წევრი 11-წრიანი რბოლის ბოლო წრემდე მოწინავე ჯგუფში იყო კიდეც. „ტურის“ ჩემპიონებმა კონტადორმა და სასტრემ გრეგარის ფუნქციის შესრულება არ ითაკილეს და ბოლო წრეებითვის მაქსიმალურად „შეინახეს“ ვალვერდე და სანჩესი, რომელიც თურმე ესპანელთა ფარული იარაღი იყო.

პეკინის სიახლოვეს, ჩინეთის დიდი კედლის მიდამოებში გამართული რბოლა უაღრესად რთული და გაუსაძლისი გამოდგა. სმოგისგან დაბინძურებულ ჰაერში სუნთქვა ჭირდა და ბოლოსკენ გამოჩნდა, რომ ამ პირობებში სანჩესს ვალვერდეზე მეტი ძალა აღმოაჩნდა. როდესაც ბოლო წრის დასაწყისში ახალგაზრდა ლუქსემბურგელმა ენდი შლეკმა შეუტია, ამ იერიშს ვალვერდე ვერა და სანჩესი კი გამოეპასუხა. ამ ორს იტალიელი დავიდ რებელინი, რუსი ალექსანდრ კოლობნევი და ავსტრალიელი მაიკლ როჯერსიც მიჰყვნენ. შემდეგ ხუთეული ორ ნაწილად გაიყო — როჯერსი და კოლობნევი ჩამორჩნენ და სულ ბოლო კილომეტრებზე კი მათ ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი, შვეიცარიელი ფაბიენ კანცელარაც წამოეწია.

სწორედ კანცელარას ძალისხმევით, ბოლო კილომეტრზე ორივე სამეული გაერთიანდა და ექვსის დავაში კი სანჩესმა იმარჯვა, მცირედით აჯობა რა რებელინსა და კანცელარას.

ასე მოიგეს ესპანელებმა დაგეგმიტლი ოქრო და ახლა „ეუსკალტელის“ ბასკი მრბოლი ნამდვილად აღარ არის უჩინო — თუ სასტრე და კონტადორი სადმე „ტურის“ ჩემპიონობით დაიკვეხნიან, ფრეირე მსოფლიო ოქროებს გადმოალაგებს, ხოლო ვალვერდე მის მიერ მოგებულ დიდ თუ მცირე რბოლებს ჩამოთვლის, იქ სამუელ სანჩესის ოლიმპური ჩემპიონობისაც უნდა ითქვას.

ქვეყნები და მედლები

ჩინეთი	6	2	-	8	ავსტრია	-	1	-	1
ს. კორეა	3	2	-	5	უნგრეთი	-	1	-	1
აშშ	2	2	4	8	შვედეთი	-	1	-	1
ჩეხეთი	2	-	-	2	თურქეთი	-	1	-	1
იტალია	1	2	1	4	ვიეტნამი	-	1	-	1
იაპონია	1	-	2	3	ზიმბაბვე	-	1	-	1
ავსტრალია	1	-	1	2	ალჟირი	-	-	1	1
ესპანეთი	1	-	1	2	არგენტინა	-	-	1	1
ჰოლანდია	1	-	1	2	ბელარუსი	-	-	1	1
ბრიტანეთი	1	-	-	1	ტაივანი	-	-	1	1
რუმინეთი	1	-	-	1	ხორვატია	-	-	1	1
ტაილანდი	1	-	-	1	საქართველო	-	-	1	1
რუსეთი	-	3	1	5	გერმანია	-	-	1	1
საფრანგეთი	-	2	1	3	ინდონეზია	-	-	1	1
ჩრდ. კორეა	-	1	2	3	შვეიცარია	-	-	1	1
კუბა	-	1	1	2	უზბეკეთი	-	-	1	1

ექვსი ჩინური ოქროდან პირველი ჩენ ხიეხმ მოიპოვა

კვარცხლბეკი

სროლა

ქალები. პნევმატური შაშხანა, 10 მ

1. კატერინა ემონსი (ჩეხეთი) 503,5 ქულა (400+103,5)
2. ლიუბოვ გალკინა (რუსეთი) 502,1 (399+103,1)
3. სრიზინა პეიჩინი (ხორვატია) 500,9 (399+101,9)

ქალები. პნევმატური პისტოლეტი, 10 მ

1. ვერიუნ ვუო (ჩინეთი) 492,3 ქულა (390+102,3)
2. ნატალია პადერინა (რუსეთი) 489,1 (391+98,1)
3. ნინო სალუქვაძე (საქართველო) 487,4 (386+101,4)

კაცები. პნევმატური პისტოლეტი 10 მ

1. პენგ ვაი (ჩინეთი) 688,2 ქულა, (586+102,2)
2. იონგ ინი (სამხრ. კორეა) 684,5 (584+100,5)
3. იონგ სუ კიმი (ჩრდ. კორეა) 683,0 (584+99,0)

კაცები. ტრეპი (სასანგრე სტენდი)

1. დავიდ კოსტელიცკი (ჩეხეთი) 146 ქულა (121+25)
2. ჯოვანი პელეიერო (იტალია) 143 (120+23)
3. ალექსეი ალიპოვი (რუსეთი) 142 (121+21)

ცურვა

ქალები. 400 მ კომბინირებული

1. სტეფანი რაისი (ავსტრალია) 4 წთ. 29,45 წმ (მსოფ. რეკორდი)
2. კრისტი ჭოვენორი (ზიმბაბვე) 4.29,89
3. კეტი ჰოფი (აშშ) 4.31,71

ქალები. 4X100 მ თავისუფალი

1. ჰოლანდია (მარლენ ვეკჰუისი, ფემკე ჰეიკერუპ, რამონი კრომოვიჯოვი, ინგე დეკერი) 3 წთ. 33,75 (ოლიმპ. რეკორდი)
2. აშშ (დარა ტორესი, კარა-ლინ ჯოისი, ლესი ნიმაიერი, ნატალი კულინი) 3.34,33
3. ავსტრალია (კეტი კემპბელი, ლიზბეტ ტრიკეტი, მელანი შლენგერი, ალის მაილსი) 3.35,05

კაცები. 400 მ თავისუფალი

1. ტაი ვან პარკი (სამხრ. კორეა) 3 წთ. 41,86 წმ
2. ლინ ჟენგი (ჩინეთი) 3.42,44
3. ლარსენ ჯენსენი (აშშ) 3.42,78

კაცები. 400 მ კომბინირებული

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 4 წთ. 03,84 წმ (მსოფლ. რეკორდი)
2. ლასლო ჩეხი (უნგრეთი) 4.06,16
3. რაიან ლოტჰე (აშშ) 4.08,09

მშვილდოსნობა

ქალები. გუნდური

1. სამხ. კორეა (ოი ჩი ოუნ, სონგ ოუნ პარკ, ჰიუნ ოუნ ჯეონ) 224 ქულა
2. ჩინეთი (დან გუო, ლინგ ჩენი, იან იან ჟენგი) 215
3. საფრანგეთი (ბერენჟერ შეჰა, სოფი დოდემონ, ვირჟინი არნოლდი) 203

ძიუდო

ქალები. 48 კგ

1. ალინა ალექსანდრა დუმიტრუ (რუმინეთი)
2. იანეტ ბერმიუ (კუბა)
3. პაულა ბელენ პარეტო (არგენტინა)
3. რიკო ტარი (იაპონია)

ქალები. 52 კგ

1. დინ მეი ქსიანი (ჩინეთი)
2. კუნ აე ანი (ჩრდ. კორეა)
3. სოაია ნადალი (ალჟირი)
3. მისატო ნაკამურა (იაპონია)

კაცები. 60 კგ

1. მინ ჩი ჩოი (სამხრ. კორეა)
2. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
3. რუბენ პოუკსი (ჰოლანდია)
3. რიშად სობიროვი (უზბეკეთი)

კაცები. 66 კგ

1. მასატო უჩიშიბა (იაპონია)
2. ბენჯამინ დარბელე (საფრანგეთი)
3. იორდანის არენსიბია (კუბა)
3. ჩოლ მინ პაკი (ჩრდ. კორეა)

წყალში ხტომა

ქალები, წყვილები. ტრამპლინი

1. ინ ჯინი, გუო მინპაი ვუ (ჩინეთი) 343,50 ქულა
2. იულია პახალინა, ანასტასია პოზდნიაკოვა (რუსეთი) 323,61
3. დიტი კოციანი, ჰაიკე ფიშერი (გერმანია) 318,90

საგზაბკეცილო ველორბოლა

კაცები. ჯგუფური რბოლა, 225 კმ

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთი) 6 სთ. 23 წთ. 49 წმ
2. დავიდ რებელინი (იტალია) იგივე დრო
3. ფაბიან კანცელარა (შვეიცარია) იგივე დრო

ქალები. ჯგუფური რბოლა, 126 კმ

1. ნიკოლ კუკი (დიდი ბრიტანეთი) 3 სთ. 32 წთ. 24 წმ
2. ემა იოჰანსონი (შვედეთი) იგივე დრო
3. ტატიანა გუდერცი (იტალია) იგივე დრო

ფარიკაობა

ქალები. ხმალი, პირადი

1. ჰერიდ ზაგუნისი (აშშ)
2. სეიდ იაკობსონი (აშშ)
3. ბეის ვეარდი (აშშ)

კაცები. დაშნა. პირადი

1. მატეო ტალიარიოლი (იტალია)
2. ფაბრის ჟანე (საფრანგეთი)
3. ხოსე ლუის აბახო (ესპანეთი)

ძალოსნობა

ქალები. 48 კმ

1. ჩენ ხიეხი (ჩინეთი) 208 კმ (ოლიმპ. რეკორდი; 93+115)
2. ხიბელ ოზჭანი (თურქეთი) 199 (90+109)
3. ჩენ ჯი ლინგი (ტაივანი) 196 (82+114)

ქალები. 53 კგ

1. პრაპავადე ჯარიუერატანატარაკოონი (ტაილანდი) 221 კმ (95+126)
2. ჯინ ჰი ოუნი (სამხ. კორეა) 213(94+110)
3. ნასტასია ნოვიკოვა (ბელარუსი) 213(95+118)

კაცები. 56 კგ

1. ჟინ ჟუან ლონგი (ჩინეთი) 292 კგ (132+160)
2. ან თუან ჰოანგი (ვიეტნამი) 290 (130+160)
3. ეკო ეულიერავანი (ინდონეზია) 288 (130+158)

კალათბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

სამხრ. კორეა — ბრაზილია 68:62 (ოვერტაიმში); რუსეთი — ლატვია 62:57; ავსტრალია — ბელარუსი 83:64

B ჯგუფი

ახალი ზელანდია — მალი 76:72; ჩინეთი — ესპანეთი 67:64; აშშ — ჩეხეთი 97:57

კაცები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

რუსეთი — ირანი 71:49; ლიტვა — არგენტინა 79:75; ხორვატია — ავსტრალია 97:82

B ჯგუფი

გერმანია — ანგოლა 95:66; ესპანეთი — საბერძნეთი 81:66; აშშ — ჩინეთი 101:70

ხელბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

საფრანგეთი — ანგოლა 32:21; რუმინეთი — ყაზახეთი 31:19; ნორვეგია — ჩინეთი 30:23

B ჯგუფი

უნგრეთი — შვედეთი 30:24; რუსეთი — სამხრ. კორეა 29:29; გერმანია — ბრაზილია 24:22

კაცები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

ხორვატია — ესპანეთი 31:29; საფრანგეთი — ბრაზილია 34:26; პოლონეთი — ჩინეთი 33:19

B ჯგუფი

ისლანდია — რუსეთი 33:31; გერმანია — სამხ. კორეა 27:23; დანია — ეგვიპტე 23:23

ფრენბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

კუბა — პოლონეთი 3:1 (21:25, 25:17, 25:20, 25:17); ჩინეთი — ვენესუელა 3:0 (25:13, 25:13, 25:18); აშშ — იაპონია 3:1 (25:20, 20:25, 25:19, 25:21)

B ჯგუფი

იტალია რუსეთი 3:1 (25:20, 17:25, 25:16, 25:23); სერბეთი — ყაზახეთი 3:1 (25:21, 25:17, 23:25, 25:2); ბრაზილია — ალჟირი 3:0 (25:11, 25:11, 25:10)

კაცები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

იტალია — იაპონია 3:1 (25:19, 25:18, 23:25, 25:17); აშშ — ვენესუელა 3:2 (25:18, 25:18, 22:25, 21:25, 15:10); ბულგარეთი — ჩინეთი 3:1 (25:20, 25:21, 26:28, 25:19)

B ჯგუფი

ბრაზილია — ეგვიპტე 3:0 (25:19, 25:15, 25:18); რუსეთი — სერბეთი 3:1 (20:25, 25:21, 25:22, 25:14); პოლონეთი — გერმანია 3:0 (25:17, 33:31, 25:20)

წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

ესპანეთი — კანადა 16:6; უნგრეთი — ჩერნიგორია 10:10; ავსტრალია — საფრანგეთი 12:9

B ჯგუფი

სერბეთი — გერმანია 11:7; ხორვატია — იტალია 11:7; აშშ — ჩინეთი 8:4

ბალახის ჰოკეი

ქალები. ჯგუფური ეტაპის I ტური

A ჯგუფი

ჩინეთი — ესპანეთი 3:0; სამხრ. კორეა — ავსტრალია 4:1; ჰოლანდია — სამხრ. აფრიკა 6:0

B ჯგუფი

იაპონია — ახალი ზელანდია 2:1; არგენტინა — აშშ 2:2; გერმანია — დიდი ბრიტანეთი 5:1



პოლონელმა რობერტ სვიდერსკიმ გერმანელთა ბლოკი გაჭრა

თამაშების განრიგი

11 აგვისტო, ორშაბათი

მშვილდოსნობა

კაცები, გუნდური — 1/8 ფინალი, 1/4 ფინალი, 1/2 ფინალი, ფინალი

ბადმინტონი

ქალები, პირადი — 1/8 ფინალი

ქალები, წყვილები — 1/4 ფინალი

კალათბურთი

ქალები — ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები

პლაჟის ფრენბურთი

ქალები — ჯგუფური ეტაპის მატჩები

კაცები — ჯგუფური ეტაპის მატჩები

ფრენბურთი

ქალები — ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები

კრივი

57 კგ — I წრე

60 კგ — I წრე

სანიჩბოსნო სლალომი

კაცები — კანოე — კვალიფიკაცია

კაცები — კაიაკი (ბაიდარა) — კვალიფიკაცია

წყალში ხტომა

კაცები, წყვილები — 10-მეტრიანი კოშკი — ფინალი

ცხენოსნობა

კლასიკური სამჭიდი — პირადი. გუნდური — კროსი

ფარიკაობა

ქალები, პირადი — რაპირა — კვალიფიკაცია. ფინალი

ხელბურთი

ქალები — ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩები

ბალახის ჰოკეი

კაცები — ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები

ძიუდო

ქალები — 56 კგ — კვალიფიკაცია, ფინალი

კაცები — 73 კგ — კვალიფიკაცია, ფინალი

ნიჩბოსნობა

მეოთხედფინალური გაცურვები, რეპეშაჟი

აფროსნობა

ქალები — „470“-ის კლასი — პირველი გაცურვა

ქალები — ვინდსერფინგი — პირველი გაცურვა

ქალები — ინგლინგის კლასი — მესამე გაცურვა

კაცები — ვინდსერფინგი — პირველი გაცურვა

კაცები — „470“-ის კლასი — პირველი გაცურვა

კაცები — „ფინის“ კლასი — მესამე გაცურვა

მიქსტი — „49“-ის კლასი — მეორე გაცურვა

სროლა

ქალები — ტრეპი (სასანგრე სტენდი) — კვალიფიკაცია, ფინალი

კაცები — პნევმატური შაშხანა — კვალიფიკაცია, ფინალი

ცურვა

ქალები — 100 მ ბატერფლაი — ფინალი

ქალები — 400 მ თავისუფალი — ფინალი

ქალები — 100 მ გულაღმა — ნახევარფინალი

ქალები — 100 მ ბრასი — ნახევარფინალი

ქალები — 200 მ თავისუფალი — კვალიფიკაცია

ქალები — 200 მ კომბინირებული — კვალიფიკაცია

კაცები — 100 მ ბრასი — ფინალი

კაცები — 4 X 100 მ თავისუფალი — ფინალი

კაცები — 4 X 200 მ თავისუფალი — ნახევარფინალი

კაცები — 100 მ გულაღმა — ნახევარფინალი

კაცები — 200 მ ბატერფლაი — კვალიფიკაცია

წყალბურთი

ქალები — ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები

ჩოგბურთი

ქალები, პირადი — პირველი წრე

ქალები, წყვილები — პირველი წრე

კაცები, წყვილები — პირველი წრე

ძალოსნობა

ქალები — 58 კგ — ფინალი

კაცები — 62 კგ — ფინალი

მკვლელობა დაფდაფის კოშკზე

პეკინის თამაშები ტრაგედიით დაიწყო

ჩინელთა უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ოლიმპიადის დაწყებისთანავე პრობლემები გაჩნდა. ორგანიზატორთა განცხადებას, რომ პეკინში ყველაზე უსაფრთხო და ლამაზი ოლიმპიადა ჩატარდება, უკვე ჩრდილი მიადგა, როცა თამაშების პირველივე დღეს ჩინეთის დედაქალაქში ძალიან უსიამოვნო ინციდენტი მოხდა — დანით შეიარაღებული ჩინელი მამაკაცი თავს დაესხა ყოფილი ამერიკელი ოლიმპიელის, ათენის ოქროს მედალოსან ფრენბურთელ ელიზაბეთ ბეკმანის მშობლებს.

თავდასხმის შედეგად მიღებული მრავალრიცხოვანი ჭრილობებისგან გარდაიცვალა ბეკმანის მამა, მისი დედა კი ჯერაც მძიმე მდგომარეობაშია პეკინის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

დაზარალებულები ენათესავებიან აშშ-ის კაც ფრენბურთელთა ნაკრების მწვრთნელ ჰიუ მაკაჩეონსაც, რომელმაც გუშინ ვერ უხელმძღვანელა თავის გუნდს ვენესუელასთან შეხვედრაში.

„ჩვენთვის სრულიად გასაგებია მისი არყოფნა. ჰიუ სწორედაც რომ საავადმყოფოში უნდა ყოფილიყო. მატჩის შემდეგ ჩვენც აუცილებლად მოვინახულებთ ჰიუსაც და დაზარალებულებსაც. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ახლა ყველა მხარში ვუდგავართ მას“ — განაცხადა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რობ ბრაუნინგმა.

ეს ინციდენტი მოხდა „დაფდაფის კოშკად“ წოდებულ შენობასთან, მე-13 საუკუნის ჩინურ ძეგლთან, რომლის დასათვალიერებლადაც მივიდნენ ელიზაბეტ ბეკმანი და მისი მშობლები. 47 წლის ჩინელი მამაკაცი, ტანგ იონგმინი, სწორედ აქ დაესხა თავს ამერიკელებს, რის შემდეგადაც 40 მეტრ სიმაღლეზე მდებარე კოშკის აივნიდან გადახტა და თავი მოიკლა.

ამ ინციდენტმა გვარიანი სკანდალი გამოიწვია. აშშ-ის ოლიმპიური დელეგაციის წარმომადგენლებმა უკვე გააფრთხილეს სხვა ფრენბურთელები, რომ პეკინის ქუჩებში სიარულისგან თავი შეიკავონ და თუ მაინდამაინც ვერ მოითმენენ და მაინც გავლენ, მოერიდონ იმის დემონსტრირებას, რომ ამერიკელები არიან.

რაც შეეხება თავად ინციდენტს, ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, რომ ამ თავდასხმას რაიმე კავშირი აქვს უშუალოდ ოლიმპიადასთან. ძალადობა უცხოელების წინააღმდეგ ძალიან იშვიათი მოვლენაა მტკიცედ კონტროლირებად ჩინეთში. ამის ფონზე კიდევ უფრო გასაკვირია ეს ინციდენტი, როცა ოლიმპიადის პერიოდში ქალაქში უსაფრთხოების გასაოცარი ზომებია მიღებული.

დაზარალებულთა ოჯახი საავადმყოფოში უკვე მოინახულეს ჩინეთის მაღალჩინოსანმა პირებმა. პეკინის პოლიცია და აშშ-ის საელჩო კი მიიჩნევენ, რომ ეს ერთჯერადი მოვლენა იყო.

„პეკინი უსაფრთხო ქალაქია, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ გააჩნია იმუნიტეტი ძალადობის წინააღმდეგ“ — განაცხადა ოლიმპიადის ორგკომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვენგ ვეიმ.

კახა ლომაშვილი

ტანუ და ტანუ

ძველი ბერძენი სოკ-ის ლაბირინთებში ჩაიხრჩო

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება არ დართო ბერძენ სპრინტერ კატერინა ტანუს. მიზეზი ოთხი წლის წინანდელი დოპინგ-სკანდალია.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, ზედ ათენის ოლიმპიადის დაწყების წინ, ტანუმ და კიდევ ერთმა ბერძენმა სპრინტერმა, სიდნეის 2000 წლის თამაშების ჩემპიონმა კოსტას კენტერისმა არ გაიარეს სავალდებულო დოპინგ-ტესტი, რამაც მაშინ ძალიან ხმაურიანი სკანდალი ააგორა. ამისთვის სოკ-მა ორივე მორბენალი დასაჯა, ოლიმპიადაზე გამოსვლა აუკრძალა და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც არ დაიშურა. არადა, ტანუსა და კენტერისზე ბერძნები დიდ იმედებს ამყარებენ, მით უმეტეს, რომ ტანუს 2000 წელს სიდნეიში 100 მეტრზე სირბილში ვერცხლის მედალი ჰქონდა მოგებული.

სპრინტერები დოპინგ-ტესტის გაცდენას ავარიაში მოყოლით ამართლებდნენ — მოტოციკლეტით რბოლისას მანქანას შევეჯახეთ, რის გამოც საავადმყოფოში 4 დღე ვიწექით და ტესტზეც ამიტომ ვერ გამოვცხადდითო. თუმც სოკ-მა მიიჩნია, რომ სპორტსმენები ასე ცდილობდნენ თავის დაძვრენას, სინამდვილეში კი დოპინგზე სისხლის ჩაბარებას გაურბოდნენ. სწორედ ამის გამო დაისაჯნენ ტანუ და კენტერისი ასე მკაცრად.

თუმც ტანუმ დისკვალიფიკაციაც მოიხადა, პეკინის ოლიმპიადისთვის საბერძნეთის ნაკრებში მოხვედრაც მოახერხა და ჩინეთის დედაქალაქში სერიოზული მიზნებითაც ჩავიდა. მაგრამ, ეტყობა, სოკ-ს ჯერაც არ დავიწყებია 4 წლის წინანდელი ამბები და ამიტომ ტანუ პეკინის ოლიმპიადის მიღმა დატოვა.

„სოკ-ის სადისციპლინო საბჭომ მიიჩნია, რომ ქალბატონი ტანუ არ იმსახურებს ოლიმპიადაზე გამოსვლას. მან 4 წლის წინ სავსებით უგულებელყო სოკ-ის ყველა რეკომენდაცია და რეპუტაცია შეულახა მთელ ოლიმპიურ მოძრაობას, რის გამოც ის არც პეკინში დაიშვება“ — განაცხადა სოკ-ის პრესტაშე ჟიზელ დევისმა.

საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა კი უკვე განაცხადა, რომ ისინი იძულებულნი არიან, დაემორჩილონ სოკ-ის გადაწყვეტილებას.

„ეს სოკ-ის წესებია, რომლებიც ოლიმპიურ ქარტიას შეესაბამება. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ მივიღოთ მათი გადაწყვეტილება, რადგანაც ეჭვი მეპარება, პროტესტმა რაიმე შედეგი გამოიღოს“ — განაცხადა ბერძნული დელეგაციის ხელმძღვანელმა მინოს კირიაკუმ.

ტანუ არ აპირებს დანებებას და სოკ-ს სასამართლოში სარჩელის შეტანით ემუქრება. ერთი ეგაა, რომ ეს აშკარად დაიგვიანებს, რადგანაც სანამ სასამართლოში რამე გაირკვევა, ოლიმპიადა კარგა ხნის დასრულებული იქნება და ტანუ მაინც თამაშებს გარეთ დარჩება.

ამასობაში კი ტანუს სოკ-თან კიდევ ერთი პრეტენზია აქვს — უკვე გითხარით, რომ სიდნეიში მან ვერცხლი მოიგო. მაშინ ის მერიონ ჯონსს ჩამორჩა. ამ ამერიკელმა კი, მოგეხსენებათ, დოპინგის მოხმარება აღიარა, რის გამოც ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯონსს ყველა მოგებული ოქროს მედალი ჩამორთვა. ჰოდა, ტანუც ახლა ითხოვს, რომ ეს ოქრო მას გადასცენ.

სოკ-მა კი განაცხადა, რომ ამაზე მხოლოდ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ იმსჯელებს და მერეღა გაარკვევს, იმსახურებს თუ არა ბერძენი სიდნეის ოქროს გადაცემას.

კახა ლომაშვილი

ᲩᲘ ᲩᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ

ქსინიანგიდან აფეთქების ხმა პეკინამდე მივიდა

პეკინის ოლიმპიადა ეს-ესაა დაიწყო და ჩინეთში უკვე გაჩნდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. თანაც, არა ტიბეტში, არამედ ჩინეთის დასავლეთ რეგიონში, კერძოდ, პროვინცია ქსინიანგში, სადაც მუსლიმანმა სეპარატისტებმა თვითმკვლელების მეშვეობით რამდენიმე ადმინისტრაციულ შენობასთან აფეთქებები მოაწყვეს.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სეპარატისტები უკვე მეორედ გააქტიურდნენ. გასულ ორშაბათს მათ მიერ მოწყობილი ტერაქტის შედეგად 16 ჩინელი პოლიციელი დაიღუპა.

ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებით, ამ სეპარიტისტების მიზანი დამოუკიდებელი „აღმოსავლეთ თურქმენეთის“ შექმნა გახლავთ. ეს არის აქ მცხოვრები მუსლიმანი უიგურების მოძრაობა, რომლებიც ჩინეთისგან გამოყოფას ესწრაფვიან. ოლიმპიადის მასპინძელთა განცხადებით, ქსინიანგელი უიგურებისგან ასეთი გააქტიურება მოსალოდნელი გახლდათ.

ჩინური სააგენტოების მონაცემებით, თვითნაკეთი ბომბების აფეთქებების ხმა გაისმა ქალაქ კუქაში (პეკინიდან 3 000 კილომეტრის მოშორებით). ოთხმა კამიკაძემ თავი სამთავრობო შენობების წინ აიფეთქა, რასაც ერთი ადამიანი ემსხვერპლა და რამდენიმე დაიჭრა.

„სეპარატისტები ცდილობენ ოლიმპიური პლატფორმის გამოყენებას, რომ მათ უფრო მეტი ყურადღება მიექცეთ“ — თქვა პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვანგ ვეიმ.

ცნობისთვის, ქსინიანგის პროვინციაში 8 მილიონი უიგური ცხოვრობს, რომლებსაც ჩინელებთან მუდმივი შეხლა-შემოხლა აქვთ თავიანთი რელიგიის გამო და კარგა ხანია ცდილობენ ჩინელი მიგრანტების შევიწროებას. თუმც დღეისთვის პროვინციაში უიგურები უმრავლესობას აღარ წარმოადგენენ, რადგანაც ჩინური მოსახლეობის რიცხვმა უკვე 12 მილიონს უწია.

კახა ლომაშვილი



ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ გახსნაზე ჩასული ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში რაღაცას უძახის ტრიბუნის წინ ჩავლილ ამერიკელ სპორტსმენებს. ცხადია, აგულიანებს. მისტერ ბუში ჩვენც გვაგულიანებს რუსებთან ომში, თქვენთან ვარო, თუ ეს შეგულიანება რამეს გვარგებს.

რუსული წარმოშობის ამერიკელი ტანმოვარჯიშე ნასტია ლუკინი კი ორძელიდან ჩამოვარდა და მოკუნტული გაჰყავთ დარბაზიდან.

ბრაზილიელი ფეხბურთელი ალეშანდრე პატო კი წელგამართულია და სიყვარულსაც უხსნის თავის ქომაგს. პატომ ჯგუფურ მატჩში გოლი გაუტანა ახალ ზელანდიას.

ჩინელი პოლიციელი, ალბათ, ყველაზე მზრუნველი პოლიციელია მსოფლიოში — დახეთ, უზარმაზარი ქოლგის ქვეშ შეუფარებია თავსხმა წვიმას გარიდებული ხალხი.

ბრიტანელი იახტსმენი ბენ ეინსლი და ამერიკელი ზაკ რაილი კი სულ სხვანაირად სველდებიან. მთი ფანის კლასის ნაკრები ძლიერ კი გადახრილან, თუმც ჩაძირვა, ცხადია, არ ემუქრებათ.



სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲝ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		11 აგვისტო						
22:45	103	ჰამილტონი-დანდი იუნ.	3.25	3.25	2.00	1.62	1.23	1.23
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		11 აგვისტო						
22:00	145	ბიელი-კონკორდია	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		11 აგვისტო						
22:45	582	ვანესი-ლენსი	4.00	3.00	1.90	1.71	1.28	1.16
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა						
		11 აგვისტო						
22:00	198	იაბლონეცი-ბანიკი	2.90	2.90	2.40	1.45	1.31	1.31
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		11 აგვისტო						
21:00	251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	2.20	3.40	2.85	1.33	1.24	1.55
		შვედეთი. ალსვენსკა						
		11 აგვისტო						
21:00	277	სუნდსვალი-ჰამარბი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
22:00	278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		11 აგვისტო						
19:30	297	ლაჰტი-კუოპიო	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
19:30	300	ჰიკ-ვპს	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		11 აგვისტო						
23:15	317	აკრანესი-კეფლავიკი	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
23:15	318	გრინდავიკი-ბრეიდაბლიკი	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
23:15	319	კოპავოგური-ფილკირი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
		აშშ. MLS						
		11 აგვისტო						
01:00	340	ნიუ იორკი-ვაშინგტონი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
		მექსიკა						
		კლაუსურა						
		11 აგვისტო						
01:00	352	ამერიკა-მონარკასი	1.70	3.30	4.35	1.12	1.22	1.87
		არგენტინა						
		კლაუსურა						
		11 აგვისტო						
01:20	361	სან ლორენსო-ტიგრე	1.60	3.20	5.50	1.06	1.23	2.02
01:20	362	რასინგი-ლანუსი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		11 აგვისტო						
01:10	378	ინტერნასიონალი-ფიგეირენსე	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
01:10	379	იპატინგა-ფლუმინენსე	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
01:10	380	ნაუტიკო-სანტოსი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ოლიმპიადა						
		წყალბურთი ქალები						
		11 აგვისტო						
09:00	495	უნგრეთი-ჰოლანდია..	1.30	9.00	3.80	1.13	1.00	2.67
10:15	496	რუსეთი-იტალია..	1.80	6.00	2.30	1.38	1.00	1.66
11:45	497	საბერძნეთი-ავსტრალია..	5.00	9.00	1.25	3.21	1.00	1.09
13:00	498	აშშ-ჩინეთი..	1.03	10.00	12.00	1.00	1.00	5.45

I ᲢᲐᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10103	ჰამილტონი-დანდი იუნაიტედი	3.65	2.00	2.45	1.29	1.46	1.10
10198	იაბლონეცი-ბანიკი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10277	სუნდსვალი-ჰამარბი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18

I ᲢᲐᲘᲛᲘ/ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11103	ჰამილტონი-დანდი იუნაიტედი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11198	იაბლონეცი-ბანიკი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11277	სუნდსვალი-ჰამარბი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60

ᲒᲝᲚᲘ:ᲬᲧᲕᲘᲚᲘ-1ᲗᲣ ᲙᲔᲜᲢᲘ-2
(0:0 ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲐᲓ)

17103	ჰამილტონი-დანდი იუნ.	1.85	1.95
17198	იაბლონეცი-ბანიკი	1.85	1.95
17251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	1.85	1.95
17277	სუნდსვალი-ჰამარბი	1.85	1.95
17278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	1.85	1.95

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲝᲡ
(ᲛᲐᲢᲩᲘᲡ 0-0 ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲝᲠᲘᲕᲔ ᲣᲡᲘᲝᲜᲘ ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ)

14103	ჰამილტონი-დანდი იუნაიტედი	2.20	1.70
14198	იაბლონეცი-ბანიკი	1.95	1.85
14251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	1.80	2.00
14277	სუნდსვალი-ჰამარბი	2.00	1.80
14278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	2.00	1.80

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲢᲐᲘᲛᲨᲘ ᲒᲐᲕᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲝᲚᲘ

		I-ში	თანაბრად	II-ში
15103	ჰამილტონი-დანდი იუნ.	3.00	2.80	2.00
15198	იაბლონეცი-ბანიკი	3.00	2.80	2.00
15251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	3.00	2.80	2.00
15277	სუნდსვალი-ჰამარბი	3.00	2.80	2.00
15278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	3.00	2.80	2.00

ᲤᲠᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ)

16103	ჰამილტონი-დანდი იუნ.	2.30	1.50
16198	იაბლონეცი-ბანიკი	2.05	1.65
16251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	1.55	2.20
16277	სუნდსვალი-ჰამარბი	1.85	1.80
16278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი	1.85	1.80

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12103	ჰამილტონი-დანდი იუნ. 2,5	1.65	2.00
12198	იაბლონეცი-ბანიკი 2,5	1.55	2.10
12251	ფრედრიკსტადი-ტრომსიო 2,5	2.00	1.60
12277	სუნდსვალი-ჰამარბი 2,5	1.70	1.90
12278	ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი 2,5	1.90	1.70

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲡᲮ

A ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ 1:0 ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

1:0 ლავეცი (76)

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ: უსტარი, საბალეტა, მონსონი, გარაი, ფაცინო, მასკერანო, გაგო, ლავეცი (სოსა 87), რიკელმე, მესი (აკოსტა 90), აგუერო (დი მარია 61)

მწვრთნელი: სერხიო ბატისტა

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ: ფედერისი, ნორთი, მილიგენი, სპირანოვიჩი, კილკენი, კერნი, მუსიალიკი, ზადკოვიჩი, ტომპსონი (რუკავიცია 75), ტროისი (ბრიჯი 65), სელესკი (მაკკლუნაჰანი 81)

მწვრთნელი: გრემ არნოლდი

გაფრთხილება: ფედერისი, მილიგენი

მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

38 182 მაყურებელი

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ 2:4 ᲙᲝᲢ ᲓᲘᲕᲣᲐᲠᲘ

0:1 სისე (3), 1:1 მრდაკოვიჩი (16), 1:2 რაიკოვიჩი (24 ს.კ.), 1:3 კალუ (70), 2:3 რაკიჩი (90), 2:4 ჟერვინიო (90)

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘ: სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი, კაჩარი, რაიკოვიჩი, სმილიანიჩი, დ. ტოშიჩი, ფულისა (ტადიჩი 61), მრდაკოვიჩი (მრდაკოვიჩი 76), ჟივკოვიჩი (გულანი 82), ტომოვიჩი, ზ. ტოშიჩი

მწვრთნელი: მიროსლავ ჯუკიჩი

ᲙᲝᲢ ᲓᲘᲕᲣᲐᲠᲘ: ანგბანი, ვავა, დიარასუბა, ანგუა, კულიბალი, კალუ (კამბუ 87), კონე, ბაგაიოკო, ჟერვინიო, ნგოსანი (ჯა ჯეჯე 38), სისე (მურა-კომენანი 82)

მწვრთნელი: ჟერარ ჟილი

გაფრთხილება: ანგუა

მსაჯი: რობერტო მორენო (პანამა)

38 320 მაყურებელი

არგენტინა მეოთხედფინალშია. „ალბისელესტემ“ მინიმალური სხვაობით, მაგრამ დამსახურებულად მოუგო ავსტრალიას. ოზებს ერთადერთი გოლი „ნაპოლის“ ფორვარდმა ესეკიელ ლავეცმ გაუტანა.

ავსტრალიელები თავიდანვე დაცვაში ჩაიკეტნენ. შესაბამისად, არგენტინამ დებიუტიდანვე მოიპოვა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა. „ალბისელესტემ“ საკმაო მომენტები შექმნა, მაგრამ ხან თავად ფეხბურთელები აცუდებდნენ შანსებს დამგვირგვინებელ ფაზაში, ხანაც ოზების მეკარე ყოჩაღობდა.

ერთი-ორჯერ ავსტრალიამ მწვავე კონტრიერიში განახორციელა და კინაღამ გაიტანა კიდეც. თუმცა არგენტინამ საწადელს 76-ე წუთზე მიაღწია, როცა ხუან რომან რიკელმესა და ლიონელ მესისი კომბინაციას ანხელ დი მარიას ჩაწოდებული და ლავეცის კოხტა გოლი მოჰყვა. დარჩენილ წუთებში „ალბისელესტეს“ უპირატესობის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია.

ჯგუფის მეორე მატჩი კი ნამდვილი თრილერი გამოდგა. კოტ დივუარის სიმპათიურმა ნაკრებმა პირველ ტურში დასანანი მარცხის მერე, დამსახურებულად სძლია სერბეთს.

თითქოსდა, აფრიკელები მთელ მატჩს დამაჯერებლად აკონტროლებდნენ, მაგრამ 90-ე წუთზე, როცა სერბებმა სხაობა მინიმუმადე შეამცირეს და ანგარიში 2:3 გახდა, ვითარება ძალიან დაიძაბა, მაგრამ შეტევაში წასულ ევროპელებს არაფერი გამოუვიდათ, აქეთ კონტრიერიში გაეპარათ და მესამე დამატებულ წუთზე კოტ დივუარმა წერტილი დასვა.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ	2	2	0	0	3:1	6
კოტ დივუარი	2	1	0	1	5:4	3
ავსტრალია	2	0	1	1	1:2	1
სერბეთი	2	0	1	1	3:5	1

B ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲜᲘ�გᲔᲠᲘᲐ 2:1 ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ

1:0 ობინა (58), 2:0 ანიჩებე (74), 3:0 ტოიოდა (79)

ᲜᲘᲗᲔᲠᲘᲐ: ვანზეკინი, ოკონკვო, აპამი, ადელაიე, კიტა, ობეჯი (ოგბუკე 73), ობინა (ეკპო 77), ოკორონკვო, ოდემვინგიე (ანიჩებე 62), აჯილორე, ადეჯემი

მწვრთნელი: სამსონ სიასია

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ: ნიშიკავა, ჰოსოგაი (კაჯიამა 75), მიზუმოტო, მორიშიგე, უჩიდა, კ ჰონდა, ტანიგუჩი, იასუდა, კაგავა (ოკაზაკი 63), ტ ჰონდა, ლი (ტოიოდა 63)

მწვრთნელი: იასუჰარუ სორიმაჩი

გაფრთხილება: ოკონკვო, ჰოსოგაი, ადეჯემი, ტ. ჰონდა, აპამი

მსაჯი: მასუდ მორადი (ირანი)

42 592 მაყურებელი

ᲐᲨᲨ 2:2 ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

0:1 ბაბელი (16), 1:1 კლესტანი (64), 2:1 ალტიდორი (72), 2:2 სიბონი (90)

ᲐᲨᲨ: გუზანი, უინი, ოროსკო, პარკჰერსტი, ბრედლი, ედუ, ჰოლდენი, როჯერსი (ალტიდორი 65), კლესტანი, ადუ (ფაილ-ჰაბერი 80), მაკბრაიდი

მწვრთნელი: პიტერ ნოვაკი

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ: ვერმეერი, იალიენსი, ზუიფერლუნი, მარსელისი (მაკი 75), დე გუზმანი, ემანუელსონი, ბაბელი, მადურო, დრენტე (სიბონი 75), ბეერენსი (ირინგ-ატინი 69), ბაკალი

მწვრთნელი: ფოპე დე ჰაანი

გაფრთხილება: ედუ, მარსელისი, ადუ, ბრედლი, ჰოლდენი

მსაჯი: მაიკლ ჰესტერი (ახალი ზელანდია)

45 016 მაყურებელი

ესეკიელ ლავეცის გოლმა არგენტინა მეოთხედფინალში გაიყვანა

ვიქტორ ობინას ჰოლანდიასთან უგოლო ფრის მერე ცუდი თამაშისთვის აკრიტიკედნენ. როგორც ჩანს, ამან იმოქმედა და მისი აქტიურობით ფრთაშეხმულმა „სუპერარწივებმა“ იაპონია დაჩაგრეს.

ანგარიში თავად ობინამ გახსნა, მერე კი ბრწინვალე პასით გაატანინა ვიქტორ ანიჩებეს.

79-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა იოჰეი ტოიოდამ სხვობა კი შეამცირა, მაგრამ აზიელებმა მეტი ველარაფერი გაახერხეს.

უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა აშშ-ისა და ჰოლანდიის შეხვედრა. „ნარიჯისფერებმა“ პირველი ტაიმი რაიან ბაბელის გოლით მოიგეს, მან დამატებაზე იხეირა. თუმცა ამერიკელები აშკარად უკეთ ათამაშდნენ და ორი გოლი დამსახურებულადაც გაიტანეს. ჯერ საშა კლესტანმა იხეირა ფრედი ადუს აქტიურობის მერე, შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა ჯოზი ალტიდორმა გამოიჩინა თავი.

ჰოლანდიელებმა თამაშის გადარჩენა მესამე დამატებულ წუთზე შეძლეს, გოლი ხერალდ სიბონმა გაიტანა საჯარიმოდან.

ᲐᲨᲨ	2	1	1	0	3:2	4
ნიგერია	2	1	1	0	2:1	4
ჰოლანდია	2	0	2	0	2:2	2
იაპონია	2	0	0	2	1:3	0

C ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ 0:5 ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

0:1 ანდერსონი (3), 0:2 პატო (34), 0:3, 0:4 რონალდინიო (55, 61პ), 0:5 რაფაელ სობისი (90)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ: სპუნლი, სკოტი (ელემსონი 63), ჰოგი, ბეგერლი, ნელსენი, ბოქსოლი, ელიოტი, ჰენდერსონი, კლენი (დრეიპერი 46), ვან როოიენი (ჯენკინსი 46), ბროკი

მწვრთნელი: სტიუ ჯეიკობსი

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ: რენანი, რაფინია (ილსინიუ 66), ალექს სილვა, მარსელო, ერნანესი, ანდერსონი, ლუკაში, ბრენო, დიეგო (ტიაგუ ნეგუში 74), რონალდინიო, პატო (რაფაელ სობისი 72)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

გაფრთხილება: ბროკი, ჯენკინსი

მსაჯი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

44 951 მაყურებელი

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ 2:0 ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

1:0 დემბელე (8), 2:0 მირალასი (80)

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ: ბეილი, დე როვერი, ვერმალენი, პოკორნიოლი (ბულემბო 90), ფელაინი, დე მული, ჰარუნი, მირალასი (ოდიჯაოფოიე 85), მარტენსი (ვანდენ ბორე 78), ვერტონგენი, სიმანსი, დემბელე

მწვრთნელი: ფან-ფრანსუა დე სარი

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ: ჭიუ ტანი, ფენი, იუანი, ლი, ჭიუ ჭენი, გაო (დონი 46), კუი (ჩენი 59), ზიანი, ჭაო (ვანი 82)

მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

გაფრთხილება: ფენი, იუანი, ჰარუნი

გაძევება: ტანი (53), ჭენი (64)

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

45 756 მაყურებელი

ბრაზილიამ ახალ ზელანდიას გადაურბინა და სწორედ ის თამაში აჩვენა, რომელსაც მისგან ქომაგები ელოდნენ. რაც მთავარია, თავი გამოიჩინა რონალდინიომ — დუბლით გამოირჩა, ერთი გოლი მან პენალტით შეაგდო.

ანგარიში დებიუტშივე გახსნა ანდერსონმა, მალევე ალეშანდრე პატომ სხვაობა გაზარდა. მეორე ტაიმში ამას დინიომ ორი გოლი მოაყოლა. წერტილი კი მესამე დამატებულ წუთზე რაფაელ სობისმა დასვა ლუკაშის კარგი პასის შემდეგ.

ცხადია, თქმაც არ უნდა, რომ ბრაზილიელებს კიდევ ბევრი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ 5 გოლი იკმარეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

რონალდინიომ ახალზელანდიელებს დუბლი მიართვა

ბრაზილიასთან მატჩში ბელგიამ კარგად ითამაშა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა, თან ისე, რომ შეხვედრა 9 კაცით ჩაამთავრა. ამჯერად კი 2 ფეხბურთელი ბელგიელთა მეტოქეს, კერძოდ, მასპინძელ ჩინეთს გაუძევეს.

ბელგიელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და დამსახურებულადაც იმარჯვეს. პირველი გოლი მატჩის დებიუტში გაიტანეს, მეორე კი მიწურულს.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ	2	2	0	0	6:0	6
ბელგია	2	1	0	1	2:1	3
ჩინეთი	2	0	1	1	1:3	1
ახ. ზელანდია	2	0	1	1	1:6	1

D ᲯᲒᲣᲤᲘ. II ᲢᲣᲠᲘ

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ 1:0 ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ

1:0 მბია (74)

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ: ტინიმბი, გომსი (ნკულუ 57), ბიკეი, სონგი, მბია, სონგოო, ბეკამენგა, ბებე (ნგალი 54), ბებეი, შუჯუ (ოლე 75), ენამი

მწვრთნელი: მარტინ ნდტუნგუ

ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ: ერნანდესი, არსუ, მოლინა, კაბალეიერო, ნორალესი (მორალესი 48), მარტინესი, პადილია (ბერნარდესი 82), პავონი (ლოპესი 52), ნუნესი, კლაროსი, ტორესი

მწვრთნელი: ხილბერტო იარვუდი

გაფრთხილება: კლაროსი, სონგოო, ნორალესი, ენამი, ერნანდესი, მარტინესი, ტომასი

მსაჯი: აბდულა ალ ჰილალი (ომანი)

28 657 მაყურებელი

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 3:0 ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲐ

1:0 როსი (15), 2:0 როკი (31), 3:0 მონტოლივო (90)

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ: ვივიანო, მოტა, ბოკეტი, კოდა, კრიშტო, მონტოლივო, ჩიგარინი, ნოჩერინო, ჯოვინკო (აბატე 77), როსი (დესენა 82), როკი (აკვაფრესკა 58)

მწვრთნელი: პიერლუიჯი კაზირაგი

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲙᲝᲠᲔᲐ: იუნგი, კ ჰ. შინი, დ. ჯ. კიმი, კანგი, ჯ. კ კიმი, ოჰი (ჩო 86), ჯ. ვ კიმი (ჩ. ი. ლი 46), ი. რ. შინი (ბაეკი 46), პარკი, კი, კ ჰ. ლი

მწვრთნელი: სუნგ ვა პარკი

გაფრთხილება: ჯ. ვ. კიმი, ოჰი, კი

მსაჯი: ტომას აინვალერი (ავსტრია)

29 455 მაყურებელი

ჰონდურასისა და კამერუნის გახსნილ თამაშში ორივე კართან ბლომად მომენტები შეიქმნა, მაგრამ მარტო ერთი გოლი გავიდა. საბოლოოდ, უფრო იღბლიანები აფრიკელები გამოდგნენ. მათ გამარჯვება 74-ე წუთზე მშვენიერი დარტყმით სტეფან მბიამ მოუტანა და თანაგუნდელებთან წაიცეკვა კიდეც.

იტალიამ მეორე მატჩიც დამაჯერებლად, 3:0 მოიგო და უკვე მეოთხედფინალშია.

ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა, 23 წელს გადაცილებულმა ერთადერთმა იტალიელმა ტომაზო როკიმ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ აუღეს, სამაგიეროდ, ჯუზეპე როსიმ დამატებაზე ივარგა.

მეორე თავად როკიმ შეაგდო, სებასტიან ჯოვინკოსა და მარკო მოტას კომბინაციის შემდეგ. სხვათა შორის, როკიმ პირველი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

2:0-ის მერე იტალიას თავი აღარ მოუკლავს და მშვიდად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას. კორეელები ბევრს ცდილობდნენ და რამდენიმე შეტევაც გამოუვიდათ, მაგრამ ვერ იხეირეს. 90-ე წუთზე კი რობერტ აკვაფრესკას პასი რიკარდო მონტოლივომ შეირგო და წერტილი დასვა, მაგრამ ფიორენტინელს ბურთის კარში მოსათავსებლად ორი დარტყმა დასჭირდა, პირველი ძელს გაარტყა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	2	2	0	0	6:0	6
კამერუნი	2	1	1	0	2:1	4
ჩრდ. კორეა	2	0	1	1	1:4	1
ჰონდურასი	2	0	0	2	0:4	0

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ნადირობა სილვაზე

ინგლისური „ლივერპულის“ ამერიკელი მფლობელები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი მზად არიან, ნახევარმცველი დავიდ სილვას სანაცვლოდ „ვალენსიას“ 18 მილიონი გირვანქა გადაუხადონ.

შერსისაიდელების გარდა ესპანელ ფეხბურთელზე კატალონიური „ბარსელონა“, მადრიდის „ატლეტიკო“ და იტალიური „რომა“ ნადირობენ, ამიტომ „ღამურების“ პრეზიდენტმა ხუან სორიანომ განაცხადა, რომ სილვას მხოლოდ ძალიან დიდ ფასად შეელევა.

პასუშიდან პამპლონაში

ესპანურმა „ოსასუნამ“ პორტუგალიური „ფერეირადან“ როვერსიო როდრიგეში გადმოიყვანა. პამპლონელებმა ბრაზილიელ ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ფერეირას“ გარდა როდრიგეშს „ჟილ ვისენტეს“ შემადგენლობაშიც უთამაშია და პორტუგალიის ჩემპიონატში 23 მატჩი ჩაუტარებია. ნავარელებს კი 24 წლის ბრაზილიელის შეძენა 600 ათასი ევრო დაუჯდათ.

რადუს იჯარა თხებში

ბუნდესლიგის „კიოლნმა“ რუმინელი თავდამსხმელი სერგიუ რადუ ინათხოვრა. 30 წლის ფეხბურთელი სხვადასხვა დროს კოტბუსის „ენერგის“ და „ვოლფსბურგის“ ღირსებას იცავდა, ბოლოს კი „შტუტგარტში“ იჯარით იმყოფებოდა.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენს კლუბში თავდამსხმელთა არჩევანი გაიზარდა — აღნიშნა „თხების“ დამრიგებელმა კრისტოფ დიუმმა — ახალ სეზონში ეს ძალიან დაგვეხმარება“.

სტოკი ჟიგიჩს უმიზნებს

ინგლისური პრემიერლიგის დებიუტანტი „სტოკ სიტი“ „ვალენსიას“ თავდამსხმელით ნიკოლა ჟიგიჩით არის დაინტერესებული. ინგლისელთა სპორტული დირექტორი ტონი სქოულზი უახლოეს დღეებში ესპანეთში მოლაპაკებისთვის გაფრინდება. გასული სეზონი სერბი ფორვარდისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, 15 მატჩში ჟიგიჩმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაშინ, როცა 2006-2007 წლებში სანტანდერის „რასინგში“ გამოსვლისას მან 32 თამაშში 12-ჯერ გამოიჩინა თავი.

ნახევარი შევჩენკო 5 მილიონი ღირს?

გენუის „სამპდორიამ“ ლონდონის „ჩელსისთან“ ანდრეი შევჩენკოს იჯარის თაობაზე მოლაპარაკება განაახლა. იტალიელთა გენერალურმა მენეჯერმა ბეპე მაროტა, რომელიც უკრაინელის ახლო მეგობარია, მზადაა, ფეხბურთელის კონტრაქტის 50 პროცენტი შეისყიდოს და ამისთვის 5 მილიონ გირვანქასაც ჩამოდის. თუ ტრანსფერი შედგება, მაშინ შევჩენკო „ბლუჩერკატის“ თავდასხმაში ანტონიო კასანოსთან ერთად დუეტს შექმნის.

კაუნასმა რეინჯერსის რეპუტაცია დამარხა

„რეინჯერსის“ მთავარი მწვრთნელი უოლტერ სმიტი თვლის, რომ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ დუელში ლიტვურ „კაუნასთან“ მარცხმა კლუბის რეპუტაციაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა:

„ჯერჯერობით ვერ გამოვედი იმ იმედგაცრუებიდან, რომელიც გასულ კვირას, „კაუნასთან“ დამარცხების შემდეგ დამეუფლა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის რეპუტაცია, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ვქმნიდით, ორ მატჩში დაიმარხა, ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს“.

იბანიესი შალკეს ელის

მადრიდის „ატლეტიკოს“ მცველი პაბლო იბანიესი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „შალკესთან“ შეხვედრის მოლოდინშია.

„შალკესთან“ თამაშების შედეგი „ატლეტიკოსთვის“ ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მთელი გასული სეზონის განმავლობაში ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ვცდილობდით. სტუმრად აუცილებლად უნდა გავიტანოთ და დაპირისპირების მთელი 180 წუთის განმავლობაში სრული კონცენტრაცია შევინარჩუნოთ. იმედია, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

ბალარდს აწყენინეს

ლონდონის „ფულემის“ ნახევარმცველი ჯიმი ბალარდი განაწყენებულია კლუბის ხელმძღვანელობაზე, რადგან მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებენ.

„შემატყობინეს, რომ კლუბს ჩემი დახმარება სჭირდება, მაგრამ როცა სიტყვა კონტრაქტის გახანგიძლივებაზე ჩამოვაგდე, მითხრეს, რომ ეს მხოლოდ მიმდინარე ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ იქნება შესაძლებელი. „ფულემთან“ კიდევ ორი წელი მაკავშირებს და ჩავთვალე, რომ სწორედ ახლა იყო დრო ახალი მოლაპარაკების დასაწყებად“ — თქვა ფეხბურთელმა, რომელსაც მისი ყოფილი კლუბი „უიგან ატლეტიკიც“ ეპატიჟება.

არჩილ კოგანიძე

რონალდუს რეალი ჩაანცვლეს

„მანჩესტერის“ ფეხბურთელებმა კრიშტიანუ რონალდუ აგდეს. ინგლისში დაბრუნებული პორტუგალიელი ბაზაზე „ბენტლით“ მივიდა და იქ „რეალის“ 7-ნომრიანი მაისურა დაახვედრეს.

რონალდუ საჩუქარს სიცილით შეხვდა და თქვა, რომ კარგი მოსაგონარი იქნება.

მანჩესტერელებთან დაახლოებულმა კაცმა „სანს“ უთხრა: „მხიარული ამბავი მოხდა. ბიჭებს სურდათ, რონალდუ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, „რეალში“ გადასვლასთან ამტყდარი ალიაქოთის გამო.

„რეალის“ მაისურა კვირის დასაწყისშივე მონახეს და ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩააბარებდნენ პატრონს. კრიშტიანუმაც ძღვენი ამაყად მიიღო. ბიჭებს უყვართ ერთმანეთის გამასხარავება“.

რონალდუმ 340-ათასგირვანქიანი „როლს როისი“ შეუკვეთა და მალე „ბენტლიდან“ ახალ ოთხთვალაში გადაჯდება. იგი ვარჯიშზე ექიმთან ერთად მივიდა. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელი ტრავმის გამო სეზონის დასაწყისს გამოტოვებს.

ალექს ფერგიუსონი კი იმედოვნებს, რომ მომავალ კვირაში „ტოტენჰემიდან“ დიმიტარ ბერბატოვის გადაბირებას მოახერხებს. „მანჩესტერმა“ თავიდან 22 მილიონი გირვანქა შესთავაზა „მამლებს“, მაგრამ მათ 30 მოითხოვეს. როგორც ამბობენ, კლუბები 25-ზე შეთანხმდნენ.

„მანჩესტერის“ მცველი რიო ფერდინანდი კი ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში უმკაპიტნებს.

ფაბიო კაპელოს სამკლავურის ორი კანდიდატი ჰყავდა — ჯონ ტერი და რიო ფერდინანდი. ტერიმ რამდენიმე მატჩში უკაპიტნა ნაკრებს კაპელოს ხელში, ახლა კი „დეილი მირორის“ ცნობით, იტალიელმა სამკლავური რიო მანჩესტერელს გადასცა.

ვაჟა ხუციშვილი

ატომური ჭიანჭველა ყურადღების ცენტრშია

ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელ სებასტიან ჯოვინკოს უამრავი მსურველი ჰყავს. „ატომური ჭიანჭველა“ ბრწყინვალე ფორმაშია და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჯოვინკო ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ტურინის „იუვენტუსი“ მის გაშვებას არ აპირებს.

ამბობენ, „ბიანკონერი“ მალე ახალ კონტრაქტს გაუფორმებსო. ფეხბურთელის აგენტს კლაუდიო პასკუალინს კი ეიმედება, რომ მის კლიენტს ხელფასიც საგრძნობლად გაეზრდება. ამჟამად ჯოვინკო წელიწადში დაახლოებით 60 ათას ევროს იღებს.

„ჩვენი მოთხოვნა ფეხბურთელის ამჟამინდელი ფასის შესაბამისია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჯოვინკოს ძალიან უყვარს ეს კლუბი, „იუვენტუსი“ ყოველთვის იყო, არის და იქნება მისი ოცნების გუნდი. სებასტიანი „ბებერი ქალბატონის“ აღზრდილია და ძალიან კმაყოფილია აქაურობით. თუმცა კლუბი მას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს“ — თქვა პასკუალინმა.

„იუვეს“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „ჯოვინკო თავდამსხმელად ან გამთამაშებლად კარგად თამაშობს და ბოლომდე იხარჯება, მაგრამ „ემპოლიში“ მას მარცხენა შემტევ ნახევარმცველადაც იყენებდნენ. ასე რომ, როცა ოლიმპიადიდან დაბრუნდება, ამ საკითხზე ვიმსჯელებთ. ვფიქრობ, სებასტიანი პაველ ნედვედის ალტერნატივად შეიძლება გამოდგეს, მიუხედავად მათი განსხვავებული თვისებებისა და სტილისა“.

დაბოლოს, მარჩელო ლიპიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ჯოვინკო მალე გახდება იტალიის ნაკრების მნიშვნელოვანი წევრიო.

გიორგი კაკაბაძე

პილტონი პილტონს ეძებს



დონეცკის „შახტარის“ ბრაზილიელი ლეგიონერი აილტონი ბრემენის „ვერდერში“ დაბრუნებას აპირებს, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაატარა.

„კლუბის ხელმძღვანელებს უკვე ველაპარაკე — განაცხადა ფორვარდმა — და ახლა დირექტრთან, კლაუს ალოფსთან დარეკვაღა დამრჩა. 35 წლის ვარ, მაგრამ ფეხბურთისთვის ჯერ თავს მოხუცად არ ვგრძნობ. ჯანს არ ვუჩივი, სისწრაფე არ მომკლებია და არც საგოლე ალღო დამიკარგავს. თან, „ვერდერის“ სათამაშო ყაიდას ხომ მშვენივრად ვიცნობ. მე და დიეგო კარგ შემტევ წყვილს შევქმნით.

დონეცკში დაბრუნება აღარ მსურს. ვიმედოვნებ, რომ ერთ-ორ კვირაში კონტრაქტს გავწყვეტ და „ვერდერს“ შევუერთდები. მჯერა — კვლავ შემიძლია ბუნდესლიგის ბომბარდირობა.

სხვა ფორვარდებთან შედარებით, საგოლე მომენტებს არ ვანიავებ. ჩემთვის სულერთია, „ვერდერი“ რამდენს გადამიხდის. მხოლოდ ერთი რამ მინდა — ერთ-ორწლიანი კონტრაქტი და ბრემენში კარიერის დასრულება. მერე კი საფეხბურთო სკაუტი გავხდები და ეგებ ახალი აილტონი ვიპოვო“.

ვაჟა ხუციშვილი

ლაპორტა შეცდომას არ იცნობს

ხუან ლაპორტას ამ ზაფხულს მაგრად დასცხა — „ბარსას“ გულშემატკივართა კლუბის წევრებმა მისი ნდობის საკითხი დააყენეს. პრეზიდენტმა ადგილი შეინარჩუნა და გუნდის ასაღორძინებლად ახალი პროექტი შეიმუშავა. კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ლაპორტა ამბობს, რომ მას და მის ოჯახსაც ემუქრებოდნენ

— კრება 24 აგვისტოს დანიშნეთ. როგორ ემზადებით?

— სრულიად მშვიდად.

— ამ დღეებში ძალიან გაწონასწორებული და თავდაჯერებული ხართ...

— ასეთი ვარ. ვგრძნობ, რომ კლუბის პრეზიდენტობას კიდევ შევძლებ.

— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ თანამდებობის შენარჩუნებას ნებისმიერი ხერხით ცდილობთ.

— როცა ვამბობ, რომ თავდაჯერებული ვარ, ამას ცენზურის გადასალახად ვაკეთებ — ანუ ყველა ერთის წინააღმდეგ. ახალი პროექტი შევიმუშავე, რომლის შესასრულებლადაც დიდი სიამოვნებით ვიშრომებ.

— ცენზურის გაუქმების შემდეგ ნაკლებად თავისუფალი ხართ?

— არა, პირიქით. უბრალოდ, ჩვენ (დირექტორატს) პასუხისმგებლობის გრძნობა გაგვიათმაგდა. რთულ ვითარებაში გუნდიდან წასვლა ხომ არ შეიძლება.

— „ბარსელონადან“ წასული დირექტორატის წევრებს გულისხმობთ?

— არა.

— იმ ხალხიდან, რომელიც 2003-ში გვერდში გედგათ, ოთხი კაცილა შემოგრჩათ. ეს ლეგიტიმურია?

— რა თქმა უნდა. დირექტორატის ამჟამინდელი წევრები კლუბის ისტორიაში საუკეთესოები არიან.

— თუ კრებამ უფლებამოსილება გაგიგრძელათ...

— ეს კარგი ამბავი იქნება კლუბისთვის — სატაბილურობის გაძლიერებას ვაპირებ, რათა 2010 წელს თავაწეული წავიდე.

— ხმათა რამდენი პროცენტია საჭირო, რომ პოსტი დატოვოთ?

— ნახევარზე მეტი.

— წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რომელ შეცდომებს გამოასწორებდით?

— გამოუსწორებელი შეცდომები არ მქონია.

— როცა ინგლა, სირიანო და ვისენსი (დირექტორატის წევრები) წავიდნენ, თავს მეგობრებისთვის ერთგულ ადამიანად გრძნობდით?

— არა. ძალიან მეწყინა, მაგრამ მათზე გაბრაზებული არ ვარ. სამწუხაროდ, ჩვენი გზები გაიყარა.

— თქვენი პრეზიდენტობისას ეს უცუდესი პერიოდი იყო?

— მეც მემუქრებოდნენ და ჩემს ოჯახსაც.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ყოველდღე თქვენი ჩამოგდება სურთ პრეზიდენტის სავარძლიდან?

— ეს უკვე ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. როგორც კლუბის პრეზიდენტი, შემოტევებს მივეჩვიე და მოტივაცია მემატება.

კაკა გვინდა!

ბრიტანული მედიის ცნობით, რომელიც კაკას წარმომადგენლის ნათქვამს იმეორებს, „ჩელსი“ და „მილანი“ ბრაზილიელ ფეხბურთელზე კვლავაც ვაჭრობენ. თითქოს, რომან აბრამოვიჩი ნახევარმცველში 100 მილიონ ევროს იხდის.

„ჩელსიში“ გადასვლით კაკა ლუიშ ფელიპე სკოლარის ფეხბურთელი გახდება — იმ კაცისა, რომელმაც ოდესღაც ეროვნულ ნაკრებში უხმო — და თან ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშებს.

„კაკას ველაპარაკე — განაცხადა წარმომადგენელმა— კლუბებს შორის გაჩაღებული ვაჭრობის თაობაზე ორივემ ვიცით, მაგრამ ფასზე ვერ თანხმდებიან. ჩემი აზრით, ეს ტრანსფერი კვლავაც მოსალოდნელია, ოღონდ კაკა ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ იტყვის, თუ საქმე მოგვარდება. მერე კი „ჩელსის“ საკუთარ ჯამაგირზე მოურიგდება.

„მილანი“ საუკეთესო ფეხბურთელებს, როგორც წესი, არ ყიდის, მაგრამ გარიგება საკმაოდ სარფიანია და შეიძლება დათანხმდეს. ვნახოთ, რა მოხდება“.

ჩელსელთა პრესმდივანმა თქვა: „ჩვენი კლუბის პოზიცია უცვლელია. „მილანი“კი უარობს ფეხბურთელის გაყიდვას“.

ვაჟა ხუციშვილი



გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მოგრძანდითი „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია
მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

მილანის „ინტერმა“ ამსტერდამში „აიაქსს“ 1:0 მოუგო. ამ საინტერესო ამხანაგურ შეხვედრაში ერთადერთი გოლი მე-5 წუთზე ადრიანომ გაიტანა. ცხადია, ბრაზილიელმა ძალიან გაიხარა. მოგეხსენებათ, მას სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ახლა „იმპერატორს“ ძველი დიდების დაბრუნება უნდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 67 წუთის განმავლობაში მინდორზე ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყო. „იბრაკადაბრამ“ ტრავმა მოიშუშა და ნელნელა უბრუნდება მინდორს.

„ნერაძურის“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ კი ნიკოლას ბურდისოთია აღფრთოვანებული. ცენტრალური მცველების ტრავმიანობის პერიოდში არგენტინელი „ინტერის“ დაცვის ბურჯად იქცა და ახმანაგურ შეხვედრებში ჩინებულად ირჯება. არადა, მილანელები მის გაყიდვაზე ფიქრობდნენ.

„ძალიან გახარებული ვარ იმით, რაც გუნდმა გააკეთა და აჩვენა. ბოლო დღეებში „ბაიერნს“, „სევილიასა“ და „აიაქსს“ ვეთამაშეთ. აქედან ორი შეხვედრა მოვიგეთ და გოლი არ გავუშვით. ბიჭები ნამდვილად კარგად გაისარჯნენ და ყველას კომპლიმენტი ეკუთვნის, მაგრამ სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს და ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ. ყველაზე მეტად ვინ მომეწონა ამ სამ შეხვედრაში? ბურდისო, იგი ბრწყინვალე იყო, არცერთი შეცდომა არ დაუშვია. ვფიქრობ ამაში მთელი კლუბი დამეთანხმება. ძალიან მახარებს ისიც, რომ იბრაჰიმოვიჩმა საკმაოდ დიდი ხანი ითამაშა. იმედია, ზლატანი იტალიის სუპერთასის მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. ადრიანომაც კარგად ითამაშა, როგორც „ბაიერნთან“, ასევე „აიაქსთან“. იგი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ამავე დროს, ტექნიკურია. მასთან და იბრაჰიმოვიჩთან ერთად ჩემთვის ძნელი არ იქნება, გუნდს ისეთი ფეხბურთი ვათამაშო, როგორიც მინდა“ — აღნიშნა მაურინიუმ.

კოკი კანდელაკი

იაშვილმა სეზონი გოლით დაიწყო

გერმანიაში სეზონი თასის გათამაშებით დაიწყო და ქართული გოლიც გაუიდა. გოლს კი ვინ გაიტანდა, თუ არა ალექსანდრე იაშვილი.

„იაშის“ „კარლსრუე“ ქვედალიგელ „ანსბახს“ ეწვია და 5:0 მოუგო. იაშვილი ძირითადში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გუნდის მესამე გოლი გაიტანა.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ ოფიციალური მატჩი ითამაშა მათე ღვინიანიძემ, მისმა „მიუნხენ 1860“-მა კი სტუმრად 2:0 მოუგო „ნოიშტრელიცს“. მათემ ძირითადში ითამაშა, თანაც ნახევარდაცვის ფლანგზე, რაც ძალზე იშვიათად ხდება.

ლევან კობიაშვილი „ჰომბურგთან“ სტუმრად 3:0 მოგებულ მატჩში 12 წუთი ათამაშეს. მეორე ჩვენებური, ლევან ყენია კი მინდორზე არ გამოჩენილა. მიზეზი? სანამ ყენია 18 წლის არ გახდება, ოფიციალურ მატჩებში ვერ ითამაშებს.

სათასო მატჩის განაცხადში არ ყოფილა დავით თარგამაძეც. „ფრაიბურგმა“ კი სტუმრად 2:0 მოუგო „უნტერჰახინგს“.

განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა ოთარ ხიზანეიშვილი. მისმა „აუგსბურგმა“ კი იბრძოლა და სტუმრად პენალტების სერიაში „პადერბორნი“ დაამარცხა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბარაბაძეს დანიის სუპერლიგაში ითხოვენ

დანიის მეორელიგელი ჰიკ-ის თავდამსხმელი მიხეილ ბარაბაძე, შესაძლოა, მალე გაცილებით უკეთეს გუნდში გადავიდეს. 18 წლის ქართველი მარტიდან თამაშობს ჰიკში და ბლომად გოლები გაიტანა, თუმც მისი გუნდი მაინც გავარდა.

„რამდენიმე კარგი დანიური გუნდია ჩემით დაინტერესებული, ჯერჯერობით აქ ვარ და შეთანხმებულნი ვართ, რომ კარგი წინადადების შემთხვევაში არ დამბრკოლებენ, თუმც ისეც არაა საქმე, ფეხი დავკრა და წავიდე. მსურველთა შორის დანიის სუპერლიგის ერთი კლუბიცაა“ — გვითხრა ბარაბაძემ.

ჰიკ-ი ახალი სეზონისთვის ემზადება და ბარაბაძემ გვითხრა, სწორედ ტესტ-მატჩებზეა დამოკიდებული: რამდენად კარგად ვითამაშებ, იმის მიხედვით უკეთესი შანსი მექნება სხვაგან გადასვლისო.

ეს ბიჭი ორიოდ წლის წინ თბილისის „თბილისიდან“ გვახსოვს — მაშინ მას ბევრი არ უთამაშია, თუმც მანამდე შვედეთში გამართულ „დანა კაპზე“ თავი გამოჩინა და ჰიკ-მა ეს უყურადღებოდ არ დატოვა.

ილია ნანოგაშვილი

რომა და ბაპტიშტა

იტალიური „რომა“ ჟულიო ბაპტიშტას ტრანსფერზე მადრიდის „რეალს“ ვერ უთანხმდებოდა. „გლადიატორთა“ აზრით, სამეფო კლუბი ძალიან ბევრს ითხოვდა. „ჯალოროსის“ ფულთან დაკავშირებული პრობლემები თავად ფეხბურთელთანაც ჰქონდა — ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი დიდ ხელფასს ითხოვდა.

ასეა თუ ისე, მოლაპარაკებები გრძელდება. „რომას“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი ამბობდა, რომ ბაპტიშტა სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც ახლა მის კლუბს სჭირდება და იმედს გამოთქვამდა, რომ მხარეები ყველაფერზე შეთანხმებას შეძლებდნენ.

„მართალია, რომ ბაპტიშტას ტრანსფერზე მოლაპარაკებებს ვმართავთ, მაგრამ არ მინდა, ვინმემ ვითარება დაძაბოს. ჩვენ აბსოლუტურად მშვიდ გარემოში ვსაუბრობთ, არანაირი ულტიმატუმები და საგანგაშო სიტუაცია. ცხადია, გვყავს ალტერნატივებიც და თუ ბაპტიშტას ვერ დავიმატებთ, მათზე გადავერთვებით. თუმცა ბრაზილიელი ახლა ჩვენთვის იდეალური ვარიანტია. მას თამაში ცენტრალურ ნახევარმცველადაც და თავდამსხმელადაც შეუძლია. დარწმუნებული ვარ, იგი თავისუფლად ჩაეწერებოდა ჩვენს სათამაშო სქემაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ორი ახალი ფეხბურთელი გვჭირდება, რათა გუნდი ბოლომდე დაბალანსდეს. „ინტერი“, „მილანი“ და „იუვენტუსი“ დიდი გრანდები არიან და გარკვეულწილად, ისინი ყოველთვის ყველაზე წინ იქნებიან, მაგრამ ჩვენც დიდი ფული დავხარჯეთ და ძალგვიძს, მოთამაშეებს ღირსეული კონტრაქტები შევთავაზოთ, რაც ბევრს არ შეუძლია. თუ არიან კლუბები, რომლებიც გვისწრებენ, ბევრად მეტია ისეთი, რომელიც შემადგენლობით ჩამოგვივარდება“ — თქვა სპალეტიმ.

ამასობაში, ესპანური პრესა ირწმუნება, რომ მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ და ბაპტიშტას რომაელობა დღეს გაცხადდება.

კოკი კანდელაკი

ლევან მჭედლიძე პალერმოსაც სურს

18 წლის ლევან მჭედლიძის შეძენა იტალიურ „პალერმოსაც“ სურს.

მჭედლიძით „იუვენტუსის“ დაინტერესებაზე ადრეც ვწერდით, თუმც როგორც შევიტყვეთ, ამ სავარაუდო ტრანსფერის თაობაზე ძვრა აღარ ყოფილა. თუმც მსურველთა რიგებში სხვა გრანდებიც არიან.

ამასწინათ თვითონ ლევანმა გვითხრა, იტალიის ძლიერი გუნდებიდან არის ინტერესი და რეალურად, გზას „მილანისკენაც“ მივყავართ.

რაც შეეხება „პალერმოს“ ვარიანტს, ეს ცნობა ერთ-ერთ იტალიურ ვებგვერდზე ვნახეთ.

ილია ნანოგაშვილი

მილანმა ისევ წააგო


ვალერი ბოჟინოვი

„მილანი“ წინასასეზონო პერიოდში ძალიან არადამეჯერებლად გამოიყურება. „როსონერი“ ამჯერად „მანჩესტერ სიტისთან“ ამხანაგურ მატჩში დამარცხდა 0:1. მასპინძელთაგან გამარჯვების გოლი ბულგარელმა ვალერი ბოჟინოვმა გაიტანა — ეფექტური შორეული დარტყმით იხეირა.

კარლო ანჩელოტის შემაგენლობასთან კვლავ სერიოზული პრობლემა ჰქონდა. „მილანის“ განკარგულებაში ისევ ერთადერთი ნომინალური ფორვარდი გახლდათ — 18 წლის ალბერტო პალოსკი. „როსონერის“ დაცვაშიც ჰქონდა პრობლემები.

ამ შეხვერდაში „მილანის“ კარს ნელსონ დიდა იცავდა. ტრავმამოშუშებული ბრაზილიელი ხაგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ძირითად შემადგენლობას.

„სიტიმ“ კი მოიგო, მაგრამ დიდად გახარებული არ უნდა იყოს, რადგან ბოჟინოვმა, მაიკა რიჩარდსმა და დარიუს ვასელმა ტრავმები მიიღეს.

„როსონერის“ რიგებში კი ახალშეძენილი ახალგაზრდა ურუგვაელის ტაბარე ვიუდესის დებიუტი შედგა, მან მეორე ტაიმში პალოსკი შეცვალა.

„მცირე უკეთესობა და კარგი ნიუანსები შევნიშნე ჩვენს თამაშში, მაგრამ კარგ ფორმამდე კიდევ ბევრი გვიკლია. მირჩევნია, გუნდი მომავალ სეზონზე უფრო კონცენტრირებული იყოს, ვიდრე ამ ამხანაგურ თამაშებზე. „სიტი“ უფრო მომზადებული გახლდათ, რადგან პრემიერლიგა მალე იწყება და მანჩესტერელებმა საკმაო ხანია, ვარჯიში დაიწყეს. ვიუდესისთ კმაყოფილი ვარ, იგი მშვენივრად მოძრაობდა და რამდენიმეჯერ მართლაც კარგად გაისარჯა. ვფიქრობ, შეიძლება, სამომავლოდ ამ ნიჭიერი ახალგაზრდის იმედი გვქონდეს“ — თქვა ანჩელოტიმ.

გიორგი კაკაბაძე

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
საომარი მოქმედების ზონაში დაღუპული
ჟურნალისტების ბიბა ჩიხლაძის და
ალექსანდრე, კლიმჩუკის ოჯახებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ მაინც ნეიტრალური ვიტ ჯორჯია უეფას ელოდება

ევროთასებზე ერთადერთი ქართული გუნდი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ რომ შემოგვრჩა, იცით.

თბილისელებმა სლოვაკური „სპარტაკის“ ბარიერი დაძლიეს, სტუმრად 2:2 გაახერხეს, შინ კი 1:0 მოიგეს ლუკა რაზმაძის ბოლო წუთზე გატანილი გოლით და შემდეგ ეტაპზე ღირსეულად გავიდნენ.

წილისყრამ ვიტელებს მომდევნო ეტაპზე ვენის „აუსტრია“ არგუნა და პირველი მატჩი თბილისში 14 აგვისტოს უნდა გამართულიყო, თუმც ჩვენს ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო ამ მატჩის ჩატარება, რა თქმა უნდა, გამოირიცხა.

გუშინ ვიტელთა კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს შევეხმიანეთ...

— თქმა რად უნდა, რომ ავსტრიელები არ გვეწვევიან. ჩვენ უეფასთან გვაქვს კონსულტაციები. ძირითადად მსჯელობა მიდის ორ საკითხზე — მატჩი გადატანილ იქნას 21 აგვისტოსთვის და თუ მდგომარეობა გამოსწორდება, ჩატარდეს თბილისში, ან იმავ დღეს გაიმართოს ნეიტრალურ მოედანზე.

— უეფას საბოლო პასუხი როდის გეცოდინებათ?

— ხვალ შუადღისას ყველაფერი გარკვეული იქნება.

— ძალიან მცირე შანსია, მატჩი თბილისში გაიმართოს. სავარაუდოდ, რომელ ქვეყანაში შედგება ეს შეხვედრა?

— ჯერ დაზუსტებული არ არის.

— ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო გუნდს სავარჯიშო პროცესი ხომ არ ჩაუვარდა?

— მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ვარჯიშები რეგულარულად მიმდინარეობს და გუნდი „აუსტრიასთან“ საბრძოლველად ემზადება.

ნუგრი ლოლაძე

კალაძე ომის წინაპირობებზე

საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, თავის გულისტკივილს სპორტსმენებიც გამოხატავენ. გამონაკლისი არც ეროვნული გუნდის კაპიტანი კახა კალაძეა, რომელმაც მცირე კომენტარი გააკეთა ცნობილ იტალიურ გამოცემა „La Gazzetta Dello Sport“-თან:

„გაოგნებული და აღშფოთებული ვარ, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებიან. რუსეთში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ უბრალო ადამიანები დამნაშავენი არ არიან. პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე პოლიტიკოსებმა უნდა აიღონ. საქართველოს უმიზეზოდ უტევენ. რუსეთი მშვიდობისკენ უნდა ისწრაფვოდეს და არ უნდა აწარმოებდეს ომებს ჩვენს ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი მალე დამთავრდება. რუსეთს არ მოსწონს, რომ საქართველო ნატოსა და ევროპისკენ მიისწრაფვის. მჯერა, მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც ამ ომს შეაჩერებს“ — განაცხადა კალაძემ, რომელიც საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში წასვლაზე ფიქრობს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

როგორც არასდროს...

შორიდან გამოგზავნილი ტკივილი და იმედი

„მე ახლა ნამდვილად არ მეფეხბურთება, ჩემს ქვეყანაში ომია, იხოცებიან ჩემი თანამემამულეები, მშვიდობიანი მოსახლეობა და ჯარისკაცები. მართალია, დღეს პირველი ოფიციალური გოლი გავიტანე ჩეხურ ჩემპიონატში, მაგრამ სიხარულის განცდა არ მქონია, უფრო ტკივილის შეგრძნება მქონდა. ჩემი საქართველო გასაჭირშია, ამ გოლსაც ჩემი გარდაცვლილი თანამემამულეების ხსოვნას ვუძღვნი“ — ექსამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა 21-ე წუთზე ჩეხური „პლზენი“ ოლომოუცის „სიგმასთან“ გასვლით თამაშში დააწინაურა, თუმც მისმა გუნდმა პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ 1:2 დამარცხდა.

ზემოთ მოყვანილი სიტყვები კი დიმამ მატჩის დასრულების შემდეგ ჩეხურ სპორტულ მედიას უთხრა. ნამატჩევსაც, როცა თბილისიდან შეეხმიანეთ, დამწუხრებული იყო. როცა ყველაფერი დაწვრილებით გამოგკითხა, აღმოჩნდა, რომ მისთვის ისედაც ყველაფერი ცნობილი იყო.

„მერწმუნეთ, აქ საკმაოდ ობიექტურად აშუქებენ საქართველოში მომხდარ ამბებს. ჩეხეთის საზოგადოება გულისტკივილს გამოხატავს და თანადგომას გვიცხადებს. ხვალ „პლზენს“ დასვენების დღე აქვს, მე კი პრაღაში გავემგზავრები, რათა რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციები გავმართოთ, რომელშიც მხოლოდ ჩეხეთში მცხოვრები ქართველები როდი მივიღებთ მონაწილეობას, აქაურებიც შემოგვიერთდებიან და აქციაც მასშტაბური იქნება.

მე არასდროს გამივლია სრული სამხედრო მომზადება. გამოცდილი ხალხისგან გამიგონია, თუ რა საშინელებაა ომი, მაგრამ თუ ჩემს საქართველოს დასჭირდება და პრეზიდენტი საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებს, ერთი წამითაც არ დავფიქრდები, უმალ თბილისში გავჩნდები. ეს ჩემი, თითოეული ქართველის ვალია. მე ვერ ვიქნები დიპლომატიური, ვერ ვილაპარაკებ გამოზომილი სიტყვებით. უკვე რა ხანია რაც რუსეთი თავისი მიზნების განხორციელებისთვის ყველაფერზე მიდის. ძირძველ ქართულ მიწაზე ქართველს ვიღაც ზემოდან დასცქერის. ეს აუტანელია. დარწმუნებული ვარ, თუ ერთად ვიქნებით, ჩვენსას გავიტანთ, ყველა მიყვარხართ და იმედი მაქვს“.

დიმიტრი ტატანაშვილი არ არის ერთადერთი ქართველი, ვინც ჯერ-ჯერობით შორიდან იხდის ვალს. ლატვიური „დინაბურგის“ თავკაცმა თამაზ პერტიამ იქაური ჩემპიონატის მორიგ მატჩში ლიეპაიას „მეტალურგსთან“ გუნდი სათამაშოდ შავებში გამოწყობილმა გაიყვანა. თავისი სიტყვა სხვებმაც თქვეს და კიდევ იტყვიან. როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ჩვენ ერთმანეთი.

დათო დანელია

თასი ისევ გადაიდო

სამაჩაბლოში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა საქართველოში დაგეგმილი ყველა ღონისძიების თარიღი შეცვალა. ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება, ამიტომ ახლა არავის ეფეხბურთება.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მიიღო გადაწყვეტილება და დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მერვედფინალური მატჩები გაურკვეველი დროით გადადო.

22 აგვისტოსთვის დაგეგმილი იყო მე-20 ეროვნული ჩემპიონატის დაწყება. საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ კაკულიას თქმით, ჯერჯერობით მის გადავადებაზე მსჯელობა არ არის.

ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ქვეყანაში სიტუაცია მალე დარეგულირდება და საქართველო ისევ ჩვეულ რიტმში განაგრძობს ცხოვრებას.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

ფიფას, უეფას, მსოფლიოს ყველა ეროვნულ ასოციაციას და ფედერაციას, კლუბებს, საფეხბურთო ოჯახის ყველა წევრს. ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს რუსეთის ჯარების საქართველოში ინტერვენცია და მათი მხრიდან ჩვენი სახელმწიფოს დაუფარავი ოკუპაციის მცდელობა. მთელი მსოფლიო იყო მოწმე, თუ როგორ შეიჭრა რუსეთის არმია 1956 წელს უნგრეთში, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, 1979 წელს ავღანეთში, მას შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთმა აშკარად დაარღვია დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი და საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას.

მშვიდობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის მებრძოლ ქართველებს 24 საათის განმავლობაში ბომბავენ რუსული არმიის ბომბდამშენები. სამწუხაროდ, რუსეთის ვანდალურ აგრესიას დიდი რაოდენობით მსხვერპლი მოჰყვა მშვიდობიან მოსახლეობაში. დაღუპნენ ბავშვები და მოხუცები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არაერთხელ გამოვიდა ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის ინიციატივით, რუსეთის არაადამიანური ქმედება არ წყდება. ჰუმანიტარული კატასტროფის მიუხედავად, აგრესორი უკან არ იხევს და გაათმაგებული ენერგიით უტევს მშვიდობისმოყვარე ქართველ ხალხს.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ ყველას, ხმა აღიმაღლოთ რუსეთის ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ, გამოთქვათ პროტესტი და მოუწოდოთ მსოფლიო საზოგადოებას, ქმედითი ზომები მიიღოს საქართველოში მშვიდობის აღსადგენად.

პატივისცემით და თქვენი მხარდაჭერის იმედით: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

ინგლისი

ჩემპიონატი. I ტური

ნოტინგემი — რედინგი 0:0; ბლეკპული — ბრისტოლი 0:1; კარდიფი — საუთჰემპტონი 2:1; ჩარლტონი — სუონსი 2:0; ქოვენთრი — ნორვიჩი 2:0; კრ პალასი — უოტფორდი 0:0; დერბი — დომკასტერი 0:1; იფსვიჩი — პრესტონი 1:2; პლიმუთი — ვულვზი 2:2; ქპრ — ბარნსლი 2:1; უენსდი — ბარნლი 4:1; ბირმინგემი — შეფილდი 1:0

I ლიგა. I ტური

როვერსი — კარლაილი 2:3; კრიუ — ბრაიტონი 1:2; ჰარტპული — კოლჩესტერი 4:2; ჰადერსფილდი — სტოკპორტი 1:1; ლესტერი — მილტონი 2:0; ლეიტონი — ჰერეფორდი 2:1; ნორთჰემპტონი — ჩელტენენი 4:2; ოლდემი — მილუოლი 4:3; საუთენდი — პიტერბრო 1:0; სუინდონი — ტრამერი 3:1; იოვილი — უოლსოლი 1:1; სკანთორპი — ლიდსი 1:2

II ლიგა. I ტური

აკრინგტონი — ალდერშოტი 0:1; ბარნეტი — ჩესტერფილდი 1:3; ბორმუთი — ჯილინგემი 1:1; ბრედფორდი — ნოტსი 2:1; ბერი — ბრენტფორდი 1:0; დეგენემი — ჩესტერი 6:0; დარლინგტონი — ექსეტერი 1:1; გრიმსბლი — როჩდეილი 0:0; ლუტონი — პორტ ვეილი 1:3; როტერჰემი — ლინკოლნი 1:0; შრიუსბერი — მაკლსფილდი 4:0; უიკომბი — მორიკომბი 1:1

ქომიუნითი შილდი

მანჩესტერი 0:0 პორტსმუთი (3:1პენ)

გერმანია

თასი. I ეტაპი

ნიდერაურბახი — კიოლნი 1:5; აუე — ზტ პაული 0:0 (5:4პ); ტრირი — ჰერტა 1:3; ფრანკფურტი — ოსნაბრიუკი 2:0; ოფენბახი — ფიურტი 1:0; მუნსტერი — ბოხუმი 0:0 (5:6პ); უნტერჰახინგი — ფრაიბურგი 0:2; ბაბელსბერგი — მაინცი 1:2დ.დ.(1:1); ნორდჰორნი — ვერდერი 3:9; ვეგბერგი — ალემანია 1:4; ჰელშერი — ჰანოვერი 0:5; კილი — ჰანზა 0:2; ესენი — დორტმუნდი 1:3; ბილეფილდი — გლადბახი 1:8; ინგოლშტადტი — ჰამბურგი 1:3; კარლ ცაისი — ლაუტერნი 2:1; ჰომბურგი — შალკე 0:3; პადერბორნი — აუგსბურგი 1:1დ.დ.(0:0, 1:3პ); ფულენდორფი — აინტრახტი 0:3; ტებე — კოტბუსი 0:3; ანსბახი — კარლსრუე 0:5; ბერგერდორფი — დუისბურგი 1:5; ჰაიდენჰაიმი — ვოლფსბურგი 0:3; ნეუშტრელეცი — მიუნხენი 0:2; დურლახი — არმინია 1:2; დარმშტადტი — ვეენი 0:2; ობერნოილანდი — კობლენცი 1:1(5:4პ); ალენი — ნიუნბერგი 0:0(3:4პ); ხემნიცერი — პოფენჰაიმი 0:1; ლუნებურგერი — შტუტგარტი 0:5; ობერჰაუზენი — ლევერკუზენი 2:3დ.დ.(1:1); ერფურტი — ბაიერნი 3:4

III ბუნდესლიგა. II ტური

ვერდერი (მ) — ზანდჰაუზენი 4:3

ისლანდია

პრემიერლიგა. XV ტური

რეიკავიკი — ჰაფნარფიორდური 1:2; ტროტური — ფრამი 1:1. *აკრანესი — კეფლავიკი, ფიოლნირი — ვალური, გრინდავიკი — რეიდბლიკი და ჰიკ — ფილკირი დღეს გაიმართება*

ირლანდია

პრემიერლიგა. XXII ტური

ბრეი — შელგო 0:0, კორკი — ბოჰემიანი 0:1; გალვეი — დუბლინი 1:2; შემროკი — ჰარსი 0:2; რამბლერსი — დერი 0:3; სტ პატრიკსი — დროჰედა 0:1

ბელგია

სუპერთასი

სტანდარდი 3:1 ანდერლეხტი

საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური

ოსერი 2:1 ნანტი
1:0 იელენი (35), 1:1 ფრეიტასი (67), 2:1 კერსია (72)

ბორდო 2:1 კაენი
0:1 ნივე (14), 1:1 გურკუფი (54), 2:1 კავენაგი (80)

ლე ავრი 1:0 ნიცა
1:0 ლესაგე (72)

ლე მანი 0:1 ლორიანი
0:1 ჟაიე (58პ)

მონაკო 1:0 პსჟ
1:0 ნიმანი (79)

ნანსი 0:0 ლილი

რენი 4:4 მარსელი
1:0 ტომერი (5), 1:1 კონე (13), 1:2 ბენარფა (15), 1:3 ნიანგი (27), 2:3 ტომერტი (50), 3:3 მანდანდა (89ს.კ.), 3:4 გრანდინი (90), 4:4 შეირუ (90)

სოშო 1:2 გრენოგლი
1:0 ერდინგი (77), 1:1 აკრური (86), 1:2 მორეირა (88)

ვალანსიენი 1:0 სენტ ეტიენი
1:0 დანისი (27პ)

ლიონი 3:0 ტულუზი
1:0 მაკუნი (12), 2:0, 3:0 ბენზემა (58, 66)

II დივიზიონი. II ტური

ბასტია — ანჟერი 0:0; ბულონი — გენგამი 2:0; ბრესტი — კლერმონი 2:2; შატორუ — ტრუა 0:1; რეიმსი — აიაჩო 1:3; სედანი — ნიმი 2:1; დიჟონი — სტრასბური 1:3; მეცი — ტური 1:0; მონპელიე — ამიენი 2:1. *ვანი — ლანსი დღეს გაიმართება*

სტრასბური	2	2	0	0	4:1	6
მეცი	2	2	0	0	2:0	6
ანჟერი	2	1	1	0	3:1	4
ბულონი	2	1	1	0	3:1	4
ბრესტი	2	1	1	0	3:2	4
ბასტია	2	1	1	0	2:1	4
ლანსი	1	1	0	0	3:1	3
აიაჩო	2	1	0	1	3:2	3
ვანი	1	1	0	0	1:0	3
სედანი	2	1	0	1	3:3	3
ტური	2	1	0	1	2:2	3
ტრუა	2	1	0	1	2:2	3
მონპელიე	2	1	0	1	2:2	3
შატორუ	2	1	0	1	1:1	3
კლერმონი	2	0	1	1	2:3	1
ამიენი	2	0	1	1	2:3	1
ნიმი	2	0	0	2	1:3	0
გენგამი	2	0	0	2	0:3	0
რეიმსი	2	0	0	2	2:6	0
დიჟონი	2	0	0	2	2:6	0

ფინეთი

XVI ტური

ტურკუ — ტამპერე 1:0; იარო — მიუპა 2:1; ჰაკა — ინტერი 0:4; კტპ — მარიეჰამნი 1:0; როვანიემი — ჰონკა 0:2. *ჰიკ — ვაასა და ლაჰტი — კუოპიო დღეს გაიმართება*

ინტერი	16	9	7	0	28:8	34
ჰონკა	16	9	3	4	26:10	30
ჰიკ	15	8	5	2	30:12	29
ლაჰტი	15	9	1	5	20:14	28
ჰაკა	16	8	3	5	19:22	27
მიუპა	16	7	5	4	20:12	26
ტურკუ	16	7	3	6	26:22	24
ტამპერე	16	5	5	6	26:21	20
როვანიემი	16	5	5	6	21:23	20
ვაასა	15	4	6	5	10:14	18
იარო	16	4	4	8	16:30	16
მარიეჰამნი	16	3	4	9	12:25	13
კუოპიო	15	2	4	9	13:29	10
კტპ	16	1	3	12	8:33	6

პორტუგალია

ლიგის თასი. I ეტაპი

საპასუხო მატჩები

ჟილ ვისენტე 2:1 *პორტიმონენსე* (2:0)
ვიზელა 0:0 *ფეირენსე* (1:2)
ლეირია 1:0 ვარზიმი (0:0)
ბეირა მარი 2:0(4:5პ) *გონდომარი* (1:3)
ეშტორილი 1:1 ოლივეირენსე (1:0)
ოლიანენსე 2:1 სანტა კლარა (0:0)
ავეში 2:0(2:4პ) *ფრეამუნდე* (1:3)

შოტლანდია

პრემიერლიგა. I ტური

ფოლკირკი 0:1 რეინჯერსი
0:1 ველიჩკა (64)

აბერდინი 0:2 ინვერნესი
0:1 ბაროუმენი (27), 0:2 მაკბეინი (90)

ჰარტსი 3:2 მოზერუელი
1:0 მ. სტივარტი (25), 1:1 კლარკსონი (33), 2:1 კსანავიჩუსი (40), 2:2 კლარკსონი (81), 3:2 მიკოლიუნასი (82)

კილმარნოკი 1:0 ჰიბერნიანი
1:0 ჰემილი (80)

სელტიკი 1:0 სენტ მირენი
1:0 რობსონი (62პ)

ჰამილტონი — დანდი (იუნ)
დღეს გაიმართება

I დივიზიონი. II ტური

ერდრი — პარტიკი 0:1; დანფერმლაინი — ქუინი 2:1; დანდი — კლაიდი 1:0; მორტონი — სტ ჯონსტონი 2:2; ლივინგსტონი — როსი 2:0

II დივიზიონი. II ტური

ალოა — ეირი 0:2; პიტერჰედი — არბროთი 1:1; რეითი — ქუინზ პარკი 2:0; სტირლინგი — ისტ ფაიფი 1:1; სტრანრარი — ბრეჩინი 1:2

III დივიზიონი. II ტური

ანანი — სტენჰაუზმური 1:1; ისტ სტირლინგი — ალბინი 1:0; ელგინი — დამბარტონი 1:1; ფორფარი — ქოუდენბითი 0:1; მონტროზი — ბერვიკი 1:1

შვეიცარია

V ტური

ბელინცონა — აარაუ 1:1; აარაუ — ლუცერნი 1:0; სიონი — ბელინცონა 0:2; ბაზელი — ვადუცი 4:0; გრასჰოპერი — ციურიხი 2:2; იანგ ბოისი — ქსამაქსი 2:1

აარაუ	6	4	2	0	9:3	14
ბაზელი	5	4	0	1	9:3	12
ციურიხი	5	3	1	1	8:6	10
ქსამაქსი	5	2	1	2	5:5	7
სიონი	5	2	0	3	6:9	6
გრასჰოპერი	4	1	2	1	6:5	5
ბელინცონა	5	1	2	2	6:7	5
ვადუცი	5	1	2	2	3:8	5
იანგ ბოისი	5	1	1	3	5:7	4
ლუცერნი	5	0	1	4	3:7	1

ჩელენჯლიგა. V ტური

შო დე ფონი — ვინტერტური 0:2; ვილი — ვოლენი 3:0; ივერდონი — სენტ გალენი 0:4; გოსაუ — ლოზანა 0:0; ლოკარნო — ნიონბისი 3:0; თუნი — ლუგანო 4:4; სერვეტი — შაფჰაუზენი 1:2. *ბილბიენე — კონკორდია დღეს გაიმართება*

სლოვაკეთი

სუპერლიგა. IV ტური

სტრედა — კოშიცე 1:3; ტატრანი — ბისტრიცა 2:0; ზლატე მორავცე — სლოვანი 1:0; დუბნიცა — რუჟომბეროკი 2:0; ჟილინა — ნიტრა 5:0

ხორვატია

I დივიზიონი. III ტური

სესვეტე — დინამო 0:1; ციბალია — შიბენიკი 2:0; ინტერი — რიეკა 2:2; ზადარი — ოსიეკი 2:2; ვარტექსი — სლავენი 2:3; ზაგრები — ჰაიდუკი 3:0

უკრაინა

ვიშა ლიგა. IV ტური

დნიპრო — შახტარი 0:0; კარპატი — ილიჩევეცი 1:0; მეტალურგი (დ) — ხარკოვი 3:0; ჩერნომორეცი — კრივბასი 2:0; ვორსკლა — დინამო 2:2; არსენალი — ზარია 1:1; მეტალისტი — ლვოვი 0:0; მეტალურგი (ზ) — ტავრია 1:0

უნგრეთი

ბორსოდილიგა. III ტური

ჰონვედი — დიოშდიორი 3:1; შიოფოკი — უიპეშტი 0:1; ბალადასი — ნირედასა 3:0; კაბოშვარი — პაკში 3:5; რიკი — ზალაიდერსეგი 2:3; ვაშაში — მტკ 0:4; დებრაცენი — ფეჰერვარი 1:0

ნორვეგია

ტიპელიგა. XVII ტური

სტრიომსგოდსეტი — ბრანი 2:0; ალესუნდი — სტაბეკი 1:2; ბოდიო გლიმტი — ვიკინგი 3:2; ჰამ კამი — ვოლერენგა 1:1; ლინი — ლილესტრიომი 1:0; რუსენბორგი — მიოლდე 3:1. *ფრედრიკსტადი — ტრომსიო დღეს გაიმართება*

სტაბეკი	17	11	4	2	34:14	37
ტრომსიო	16	9	4	3	22:9	31
ფრედრიკსტადი	16	9	3	4	26:19	30
ლინი	17	8	3	6	23:19	27
ბოდიო გლიმტი	17	7	4	6	21:27	25
რუსენბორგი	17	7	3	7	25:22	24
ვიკინგი	17	7	3	7	22:22	24
ბრანი	17	6	5	6	26:25	23
ვოლერენგა	17	6	5	6	21:21	23
სტრიომსგოდსეტი	17	6	4	7	22:23	22
მიოლდე	17	4	7	6	22:24	19
ლილესტრიომი	17	5	3	9	20:27	18
ალესუნდი	17	4	2	11	22:34	14
ჰამ კამი	17	2	4	11	12:32	10

I დივიზიონი. XVIII ტური

ოდი — ჰაუგესუნდი 1:1; ალტა — სტარტი 1:2; ჰიოდი — სანდეფიორდი 0:2; ჰაონეფოსი — ტრისილი 6:1; კონგსვინგერი — მოსი 0:3; ნოტოდენი — ბრინი 7:0; სპარტა — ლოვ ჰამი 2:1; სოგნდალი — სანდნესი 1:1

შვედეთი

ალსვენსკა. XVIII ტური

იორეებრო — გიოტებორგი 4:2; აიკ — ელფსბორგი 0:2; გაის — ტრელებორგი 0:0; ლიუნგსკილე — კალმარი 2:4; მალმიო — იურგორდენი 1:2. *სუნდსვალი — ჰამარბი და ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი დღეს გაიმართება*

კალმარი	18	13	2	3	44:20	41
ელფსბორგი	18	12	4	2	25:5	40
ჰელსინგბორგი	17	10	4	3	31:19	34
გიოტებორგი	18	9	5	4	28:18	32
ჰამარბი	17	8	6	3	26:19	30
აიკ	18	8	4	6	21:20	28
მალმიო	18	6	6	6	26:27	24
გაის	18	4	9	5	16:17	21
ჰალმსტადი	17	5	6	6	19:22	21
იურგორდენი	17	5	6	6	17:24	21
იორებრო	18	5	5	8	16:26	20
ტრელებორგი	18	4	7	7	17:20	19
სუნდსვალი	17	4	4	9	18:24	16
გეფლე	17	4	2	11	14:23	14
ლიუნგსკილე	18	4	2	12	17:33	14
ნორჩიოპინგი	16	1	4	11	13:31	7

სუპერეტა. XVIII ტური

ატვიდაბერგი — ბუნკფლო 2:0; ჰეკინი — ქიდინგი 1:1; დეგერფორსი — სოდრა 2:3; ფალკენბერგი — ვასბი 1:0; იორგრიტე — ანგელჰოლმი 2:1; ასირისკა — ეჩიოპინგი 4:3; ლანდსკრონა — ბრომაპოიკარნა 1:1; მიალბი — სირიუსი 1:0

დანია

IV ტური

ოლბორგი — ესბიერგი 1:1; ჰორსენსი — ბრონდბიუ 0:1; ნორდსიელანდი — რანდერსი 1:1; მიდტიულანდი — ოდენსე 4:0; კოპენჰაგენი — ორჰუსი 1:0. *ვაილე — სიონდერისკე დღეს გაიმართება*

მიდტიულანდი	4	3	1	0	9:3	10
ოდენსე	4	3	0	1	9:7	9
ბრონდბიუ	4	3	0	1	5:4	9
რანდერსი	4	2	2	0	8:3	8
კოპენჰაგენი	4	2	2	0	4:2	8
ოლბორგი	4	1	1	2	6:7	4
ჰორსენსი	4	1	0	3	4:6	3
ვაილე	3	1	0	2	4:6	3
ორჰუსი	4	1	0	3	5:8	3
სიონდერისკე	3	0	2	1	2:4	2
ესბიერგი	4	0	2	2	2:4	2
ნორდსიელანდი	4	0	2	2	3:7	2

I დივიზიონი. I ტური

ფრემადი — ლიუნგბიუ 4:2; სკივე — ჰერფიოლგე 1:1; ფრემი — ტისტედი 1:3; კიოგე — ფრედერისია 0:3; კოლდინგი — კოპენჰაგინი 0:4; ნესტვედი — ვიბორგი 0:1; ნიკობინგი — როსკილდე 2:2; სიულკებორგი — ჰვიდოვრე 1:1

რუსეთი

პრემიერლიგა. XVII ტური

კრილია 2:0 ლოკომოტივი
1:0 ბობერი (90), 2:0 კოვბა (90)

შინიკი 1:2 ლუჩ ენერგია
1:0 ბოიარინცევი (41), 1:1 1:2 სმირნოვი (50, 77)

სპარტაკი 1:1 ხიმკი
1:0 პავლიუჩენკო (20), 1:1 ბლატნიაკი (71)

მოსკვა 2:1 ტომი
1:0 ჩესნაუსკასი (7), 1:1 მაზნოვი (16), 2:1 გოდუნოკი (61)

სატურნი 0:4 ცსკა
0:1 0:2 ლავი (19, 27), 0:3 მამაევი (50), 0:4 ალდონინი (90)

დინამო 1:0 ამკარი
1:0 აფანასიევი (4ს.კ.)

რუბინი 4:1 ზენიტი
1:0 ბუხაროვი (9), 2:0 რებროვი (12), 2:1 ტიმოშჩუკი (23პ), 3:1 ბუხაროვი (72), 4:1 კობენკო (85)

ნალჩიკი 2:0 ტერეკი
1:0 სირაძე (18), 2:0 სამსონოვი (89)

რუბინი	17	9	6	2	24:13	33
დინამო	17	9	4	4	24:18	31
ამკარი	17	8	4	5	18:12	28
სპარტაკი	17	7	7	3	29:24	28
კრილია	17	6	8	3	24:14	26
ცსკა	17	6	7	4	23:15	25
ლოკომოტივი	16	6	6	4	22:17	24
ნალჩიკი	17	7	3	7	18:19	24
ზენიტი	16	5	7	4	25:20	22
ტერეკი	16	6	3	7	14:20	21
მოსკვა	17	4	7	6	19:19	19
ტომი	17	5	4	8	14:24	19
სატურნი	17	4	5	8	15:20	17
ლუჩ-ენერგია	17	3	7	7	13:22	16
ხიმკი	17	2	7	8	22:36	13
შინიკი	16	2	5	9	16:27	11

ავსტრია

ბუნდესლიგა. VI ტური

ლინცერი — რიდი 2:1; ალტახი — რაპიდი 2:7; კაპფენბერგი — შტურმი 1:3; კერნტენი — მატერსბურგი 2:0; აუსტრია — ზალცბურგი 3:2

შტურმი	6	4	1	1	11:3	13
რაპიდი	6	4	1	1	15:8	13
აუსტრია	6	3	3	0	10:6	12
ლინცერი	6	4	0	2	9:6	12
ზალცბურგი	6	3	2	1	15:6	11
რიდი	6	2	1	3	8:8	7
მატერსბურგი	6	2	0	4	5:14	6
კერნტენი	6	1	2	3	5:7	5
ალტახი	6	1	0	5	5:19	3
კაპფენბერგი	6	0	2	4	6:12	2

ჩეხეთი

II ტური

სლავია — პრეიბრამი 1:0; ჟიჟკოვი — ტეპლიცე 3:0; ბუდეიოვიცე — ბოჰემიანსი 0:0; კლადნო — სპარტა 0:2; ბოლესლავი — ზლინი 1:0; სიგმა — პლზენი 2:1; ბრნო — ლიბერეცი 4:1. *იაბლონეცი — ბანიკი დღეს გაიმართება*

ბრნო	2	2	0	0	5:1	6
სპარტა	2	2	0	0	3:0	6
სიგმა	2	2	0	0	4:2	6
ჟიჟკოვი	2	1	0	1	5:3	3
ტეპლიცე	2	1	0	1	4:3	3
იაბლონეცი	1	1	0	0	1:0	3
ბანიკი	1	1	0	0	1:0	3
პლზენი	2	1	0	1	4:4	3
სლავია	2	1	0	1	2:2	3
ბოლესლავი	2	1	0	1	1:1	3
ლიბერეცი	2	1	0	1	3:5	3
ბოჰემიანსი	2	0	1	1	1:2	1
ბუდეიოვიცე	2	0	1	1	0:4	1
პრეიბრამი	2	0	0	2	0:2	0
ზლინი	2	0	0	2	0:2	0
კლადნო	2	0	0	2	0:3	0

პოლონეთი

ექსტრაკლასი. I ტური

ლუჩი — ბელხატუვი 2:3; ლეგია — პოლონია 2:2; ლოძი — ოდრა 0:0; ვისლა — ბიტომი 1:0; სლასკი — გდანსკი 1:1; არკა — იაგელონია 1:1; გურნიკი — რუხი 0:0

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00